საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 18 (562) პარასკევი, 29 იანვარი, 1993 წელი ფასი 3 მანეთი

[illegible] შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

27 იანვარს მოხდა შეტაკება ახალი კინდღის მიდამოებში. მოსპობილ იქნა მოწინააღმდეგის 5 მეომარი, 1 — ეროვნებით ჩეჩენი — ტყვედ იქნა აყვანილი.

ამავე დღეს 15 საათზე გუდაუთაში გაიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლობისა და აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ნაწილების ოპერატიული ჯგუფის მეთაურის გენერალ ვ. სოროკინის შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები.

ამის შემდეგ მოეწყო შეხვედრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რუსეთის საგანგებო სიტუაციათა კომიტეტისა და აფხაზური მხარის წარმომადგენლებთან. განხილულ იქნა ტყვარჩელში ჰუმანური რეისების აღდგენის საკითხი, ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ რეისების ჩაშლაზე პასუხისმგებლობა აფხაზურ მხარეს ეკისრება.

ღამით აფხაზეთში შედარებით მშვიდად ჩაიარა. როგორც მდინარე გუმისთაზე, ასევე ოჩამჩირის რაიონში მხოლოდ კანტი-კუნტად ისმოდა სროლა.

იოსებ გობეჩია.

მიტინგი სოხუმში

28 იანვარს სოხუმში გაიმართა სხვადასხვა ეროვნების დედების მიტინგი. მიტინგი გახსნა ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ხუტლანა კაკბამ, რომელმაც ყველა დედას მოუწოდა გაიხსენონ კავკასიური წეს-ჩვეულებანი და მშვიდობის მანდილი გადაგდონ მებრძოლ მხარეთა შორის. ამ მოწოდებას მიტინგზე ყველა ქალმა დაუჭირა მხარი, რომლებმაც პოლიტიკურ ლიდერებს მოსთხოვეს უპირობოდ მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და გამონახონ საერთო ენა.

ორატორებმა დაგმეს გუდაუთაში მყოფი მთავრობის პოლიტიკა. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დოცენტმა როზა ქანთარიამ წინადადება წამოაყენა შექმნან სხვადასხვა ეროვნების ქალთა დელეგაცია, რომელიც გუდაუთაში გაემგზავრება და გუდაუთისა და სხვა რაიონების ქალებთან ერთად აღიმაღლებს ხმას გაუთავებელი სისხლისღვრის წინააღმდეგ.

მიტინგზე მიმართვები გაუგზავნეს გაეროს გენერალურ მდივანს ბუტროს გალის, რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს, რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს რუსლან ხასბულატოვს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს და ვლადისლავ არძინბას.

მიიღეს აგრეთვე მეორე მიმართვა ჩრდილოეთ კავკასიის, კრასნოდარის მხარისა და ყუბანის ყველა დედისადმი.

და ამ დროს, როცა ქალაქის ცენტრში მინისტრთა საბჭოს შენობაში ეს მიტინგი მიმდინარეობდა, აფხაზთა მხარემ კვლავ საარტილერიო ცეცხლი დაუშინა ქალაქის ახალ რაიონს. გამსკდარი ჭურვების შედეგად დაზიანდა მშვიდობიან მცხოვრებთა სახლები.

გოჩა აბლოთია.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

საზოგადოებრივი მოვლენების ანარეკლი

27 იანვარს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე რესპუბლიკის 1993 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის გამო გამართული ცხარე კამათის შემდეგ სიტყვა აიღო სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

— ალბათ, ამ დარბაზში, და თუ გავითვალისწინებთ ტელეაუდიტორიასაც, — არ შეიძლება იყოს ერთი მოქალაქე მაინც, ვინც კმაყოფილებას გამოთქვამს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. ეს იმიტომ კი არა, რომ მასზე ისეთი ხალხი მუშაობდა, ვინც არ იცის ბიუჯეტის შედგენა. გუშინ ვთქვი, რომ არის ზოგიერთი მოძველებული მიდგომები, მაგრამ, ალბათ, ესეც დასაძლევი ავადმყოფობაა და უცებ არ მოგვარდება. ბიუჯეტი, როგორც აქ არაერთხელ ითქვა, ანარეკლია იმისა, რაც ხდება საზოგადოებაში. ხელოვნურად ვერ შევქმნით იმას, რაც საზოგადოებას არა აქვს, სახელმწიფოს არ გააჩნია. ამიტომ, თუ მოკლედ ვიტყვით, ეს არის სავალალო შედეგი იმისა, რასაც ჩვენ ვსაქმიანობთ, რასაც წარმოადგენს დღეს ჩვენი ქვეყანა ეკონომიკური, ფინანსური თვალსაზრისით. ნათლად ჩანს, რომ პარლამენტს აქვს დიდი სურვილი შენიშნოს ის ძირითადი ტენდენციები, რომლებსაც მივყავართ უარყოფითი მოვლენისაკენ, აგრეთვე ის ტენდენციები, რომლებმაც შეიძლება გააჯანსაღონ ფინანსური მეურნეობა უახლოეს წლებში. ბევრის გამოსვლაში მე სწორედ ასეთი მიდგომა შევნიშნე. თუ ვილაპარაკებთ ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის თვალსაწიერიდან, რა არის მთავარი, ალბათ, უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ თუ ეკონომიკა და ფინანსები არ გაჯანსაღდა, ქვეყანას არ ეშველება, შედეგები კატასტროფული იქნება. ამიტომ, ჩემის აზრით, ყველა პოლიტიკური ძალის, პარტიული თუ უპარტიო მოქალაქის უმთავრეს საქმედ უნდა იქცეს ეკონომიკაზე ზრუნვა. მართალია, არის გარკვეული წინაპირობა — ომი უნდა დამთავრდეს. ომიან პირობებში ძნელია ილაპარაკო ჯანსაღ ეკონომიკაზე, ძნელია გადაწყვიტო ის საკითხები, რომლებზეც აქ სავსებით სწორად ბრძანებდნენ გამოსული ორატორები.

ჩვენ ავიღეთ ეს კურსი ერთი მიმართულებით და იგი ბოლომდე მისაყვანია. ვიზიარებ იმ შეშფოთებას და გარკვეულ შენიშვნებს, რომლებსაც გამოთქვამს საზოგადოების ნაწილი ცხინვალის კონფლიქტთან დაკავშირებით, მაგრამ პერსპექტივა აქ რეალურად არსებობს და ჩვენზე იქნება დამოკიდებული, როგორ შევძლებთ აღებული კურსის ბოლომდე მიყვანას. რეალური გამოსავალი არის. მთავარია, შევძლოთ ყურადღების კონცენტრირება ყველა დონეზე. უფრო რთულ კონფლიქტსაც, რომელმაც დიდი ძალა და ენერგია, რესურსები და რეზერვები შეიწირა და, რომელიც ძალიან ძვირად დაუჯდა ჩვენს ქვეყანას, მოევლება, თუ შეთანხმებულად ვიმუშავებთ და ერთმანეთს ჯიბრში არ ჩავუდგებით. რამდენჯერმე ვთქვი და დღესაც ვიმეორებ, რომ ომი ღირსეულად უნდა დავამთავროთ, ღირსეულად უნდა გამოვიდეთ ამ კონფლიქტიდან. მხედველობაში მაქვს ჩვენი სახელმწიფო ინტერესები და აგრეთვე აფხაზი ხალხის ეროვნული ინტერესები, რომლის დაცვის გარანტი მხოლოდ საქართველო შეიძლება იყოს. თანდათან უფრო ფართოვდება აფხაზთა წრე, ვისაც ეს ესმის. როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, პირველ პლანზე დავაყენებდი სწორედ ამ საკითხების მოგვარებას, როგორც ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლების და შემდეგ — ეკონომიკური განვითარებისა.

მეორე წინაპირობა ის არის, რომ უნდა აღიკვეთოს შეიარაღებული ადამიანების თარეში. როდესაც ამაზე ვლაპარაკობთ, ხშირად ისეთი რეაქცია მოჰყვება, თითქოს მხედველობაში გვყავს რომელიმე შეიარაღებული რაზმი, ფორმირება. ეს ასე არ არის. ამ ფორმირებათა სახელით ბევრი სარგებლობს და ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე ნაწილს, იმ ადამიანებს, ვინც იარაღით ხელში თავისი სიცოცხლის ფასად იცავდა და იცავს ქვეყნის ინტერესებს, ჩრდილი ადგება. მომავალ შეხვედრებზე შინაგან საქმეთა მინისტრიც, გენერალური პროკურორიც და ისინი, ვისაც ეხება წესრიგზე ზრუნვა, უფრო მომზადებული უნდა მოვიდნენ.

ვიცი, რომ მათ აქვთ კონკრეტული გეგმები, მაგრამ საზოგადოებამაც უნდა იცოდეს ამის შესახებ. წესრიგის დამყარება უნდა იყოს ჩვენი უპირველესი ამოცანა. და თუ დამატებითი სახსრები იქნება საჭირო ამისათვის, გაჭირვებისა და სირთულეების მიუხედავად უნდა გამოიძებნოს. თუ ამ წინაპირობებს გავართმევთ თავს რაც შეიძლება მცირე დროში, მაშინ, გვექნება საშუალება, უფრო ღრმად, უფრო სერიოზულად ჩავუჯდეთ ჩვენს ეკონომიკურ პრობლემებს.

ბიუჯეტის განხილვას დღევანდელ ეტაპზე სულ სხვა მნიშვნელობა ეძლევა ვიდრე წინათ. დღეს ბიუჯეტთან დაკავშირებით პრაქტიკულად ვიხილავთ ეკონომიკის მდგომარეობას. ეკონომიკის მოწყვეტა, ცალ-ცალკე ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების განხილვა შეუძლებელია.

აქ ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თქვა შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა, რომ არ გაგვაჩნია ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. მთლად ასე არ არის. სტრატეგიაა ის, რომ უარი ვთქვით ძველ ეკონომიკაზე, ძველ სისტემაზე, ვაშენებთ ახალ ეკონომიკას, მივდივართ საბაზრო ეკონომიკის გზით. ალბათ ლაპარაკი უნდა იყოს ტაქტიკაზე, რა გზით და რა საშუალებით მივიდეთ ამ მიზნამდე. არის ძალიან გრძელი ეკლიანი გზა, არის შედარებით მოკლე გზაც. ჩემის აზრით ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ კარგად გავიაზროთ ჩვენი შესაძლებლობები, კარგად შევისწავლოთ სხვა ქვეყნების გამოცდილება. მის შესასწავლად, დრო არ უნდა დაიშუროს არც ერთმა ეკონომიკურმა უწყებამ...

ვერ გავიზიარებდი უიმედო განწყობილებას, რაც ცალკეულ გამოსვლებში გაისმა. არც ისეა საქმე, თუ შევძლებთ კონფლიქტების დაძლევასა და მოგვარებას, წესრიგის დამყარებას, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ეკონომიკა გამოცოცხლდება და არც ისე დიდი დრო დასჭირდება ამას. როდესაც ვმსჯელობდით ბიუჯეტის საკითხებზე, შევეცადეთ გაგვეგო არსებობს თუ არა დღეს საქართველოში საექსპორტო პროდუქციის წარმოების რაიმე სახელმწიფოებრივი პროგრამა. სამწუხაროდ ასეთი პროგრამა არა გვაქვს. ნუ ვიტყვით იმას, რომ ჩვენი დღევანდელი ეკონომიკა იმდენად დანგრეულია, რომ არაფრის გაკეთება არ შეიძლება, ჭიათურელ კაცს დღეს არ უნდა უჭირდეს, არც ზესტაფონელს. ის, რაც იქ გაგვაჩნია, — ოქროა. უნარი არ გვყოფნის მას სასაქონლო სახე მივცეთ. ანდა მოვძებნოთ ისეთი პარტნიორი, რომელსაც ეს აინტერესებს. ჩვენ გვაქვს სტრატეგიული პროდუქცია, მაგრამ არ არსებობს მთლიანი რესპუბლიკური, სახელმწიფოებრივი პროგრამა. არც ისეთი ღატაკი ქვეყანა ვართ რესურსების მხრივ, მაგრამ საჭიროა მათი გამოყენება, ამოძრავება. ამისათვის კი საჭიროა ვითანამშრომლოთ ყველა ქვეყანასთან, ეს იქნება ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი თუ სხვა ქვეყანა.

პარლამენტის სხდომის დღიური

თუ არ ვისწავლეთ რა აინტერესებს ჩვენს უცხოელ პარტნიორს, ისე კაპიტალს ვერ მოვიზიდავთ. დღეს ისეთი დროა, რომ აბსოლუტურად დამოუკიდებელი ეკონომიკური სახელმწიფოები არ არსებობენ. ამერიკის შეერთებული შტატებიც კი — არ არის დამოუკიდებელი ეკონომიკურად, მისი ეკონომიკა ინტეგრირებულია მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე. ასეა იაპონია და სხვა ქვეყნები. რა თქმა უნდა, საქართველოც ვერ შეძლებს გამოვიდეს მდგომარეობიდან და ვერ გამოიყენებს თავის სიმდიდრეებს, თუ არ ვისწავლეთ მუშაობა ჩვენი პარტნიორებისაგან. შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა ქვეყანაში სტაბილურობის საკითხზე და აღნიშნა, რომ თუ არ იქნება პოლიტიკური სტაბილურობა, წესრიგი, საზღვარგარეთელი პარტნიორები არ გამოჩნდებიან. ყველა სამინისტროს უნდა ჰქონდეს კრიზისიდან გამოსვლის თავისი პროგრამა, და რომ სამინისტროებში ის კი არ უნდა გადაწყდეს რამდენი ტონა ნავთი რომელ საწარმოს მისცენ, არამედ სამინისტრო უნდა გახდეს ლაბორატორია აზროვნებისათვის, წინადადებების შემუშავებისათვის, პროექტების დამუშავებისათვის. თუ ამ სიმაღლეს ვერ მიაღწევენ ჩვენი სამინისტროები, იოლად ვერ გამოვალთ კრიზისიდან. მარტო ბიუჯეტის იმედზე ყოფნა არ შეიძლება... მოდით, შევთანხმდეთ, ამ დიდი გაჭირვების ჟამს, როდესაც ულრმესი კრიზისიდან უნდა გამოვიდეთ, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, საჭიროა მთავარ საკითხებში ვეძებოთ კონსენსუსი, ვეძებოთ გამოსავალი ერთად და ყველა დისკუსიას ნუ მივიყვანთ დაპირისპირებამდე. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, რომ ყველასთან ვითანამშრომლო, ვისთანაც კი შეიძლება. დღეს ჩვენი მიზანი ეკონომიკა, ფინანსები, ქვეყნის გადარჩენა, შიმშილის თავიდან აცილება, ბავშვების გადარჩენა, კულტურის, მეცნიერების, განათლების შენარჩუნება და დიდ მსოფლიო ასპარეზზე გასვლაა, როგორც ეკონომიკური ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. საქართველოს აქვს ამის რეალური შანსები და შესაძლებლობები. მე მესმის ყველა სიფრთხილე როდესაც ამა თუ იმ გადაწყვეტილებებს ვიღებთ, უნდა ვიკამათოთ, იმიტომ, რომ შეცდომა გამოირიცხოს, მაგრამ ვიკამათოთ ისე, რომ ზედმეტად ეჭვიანი ნუ ვიქნებით. მე არ ვიცი, დღეს საქართველოში არის თუ არა ნორმალურად მოაზროვნე კაცი, ვინც მიიჩნევს, რომ საქართველომ შეიძლება დამოუკიდებლობა დაკარგოს და შეიძლება ამას შეეგუოს ვინმე.

საპარლამენტო სხდომაზე ძნელი გასარკვევია დავრჩით თუ არა სამანეთო ზონაში. ეს საკითხი მოითხოვს კვალიფიციურ გარჩევას. შემოვიღოთ თუ არა ჩვენი საკუთარი ვალუტა. მაგრამ რა მოჰყვება ამას დადებითი და რა უარყოფითი? საკუთარი ვალუტა არ უნდა იყოს თვითმიზანი, რომ ერთი წლის შემდეგ სანანებელი არ გაგვიხდეს — ეს რა დაგვემართაო. ჩვენ შეგვიძლია ერთ თვეში შემოვიტანოთ ეს ფული, დავარიგოთ და დამთავრდეს ამით ყველაფერი. იყო მსგავსი მაგალითები სამხრეთ ამერიკაში, სხვა ქვეყნებში, მაგრამ მათ რამდენჯერმე დასჭირდათ რეფორმის განმეორება, და ნუ დაგავიწყდებათ, რომ იმ ქვეყნებს მსოფლიო სავალუტო ფონდთან და ბანკთან თანამშრომლობის ათეული წლების გამოცდილება აქვთ. სესხებს იღებდნენ, საკმაოდ დიდ სესხებს და მერე არ აბრუნებდნენ. ვერც ჩვენ დავაბრუნებთ. ეს ჩვეულებრივი კანონია — საკუთარ ვალუტაზე გადასვლა უნდა იყოს დაკავშირებული ეკონომიკურ სტაბილურობასთან. ამასთან, აუცილებელი პირობა არის საბანკო სისტემის რეფორმა, რომელიც ჯერ არ დაგვიწყია. საერთოდ ეს ძალიან სერიოზული საკითხია, რომელზეც ნაჩქარევი გადაწყვეტილება, არ უნდა მივიღოთ. ჩვენ გვაქვს ჩვენი ვალუტა, — ეს რომ მეთქვა დღეს, ბედნიერი კაცი ვიქნებოდი, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით ამისათვის მზად არა ვართ... ვერ მოვიწონებთ ამ ბიუჯეტს, თქვა ბოლოს ედუარდ შევარდნაძემ, თვით მინისტრსაც არ მოსწონს, არც თქვენ მოგწონთ. მივცეთ თუ არა ხმა? თუ არ დავამტკიცეთ, ქვეყანას ბიუჯეტი არ ექნება. ქვეყანასთან, რომელსაც ბიუჯეტი არა აქვს, ურთიერთობა არავის არ უნდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენივე ხელით შევზღუდავთ იმ არხებს, საიდანაც შეგვიძლია გარკვეული დახმარება და კრედიტები მივიღოთ. მხედველობაში მაქვს საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები და სხვადასხვა საზღვარგარეთელი პარტნიორები. შემდეგში კი ჩვენი მოთხოვნები კიდევ და კიდევ უნდა გავამკაცროთ ბიუჯეტის მიმართ. განახლებულ კამათში კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა როგორც მთლიანად კანონპროექტი ბიუჯეტის შესახებ, ისე მისი ცალკეული ფრაგმენტები. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთმა პარლამენტარმა დასვა საკითხი რესპუბლიკის მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ. ამის მთავარ მოტივაციად მათ მოჰყავდათ ის, რომ მთავრობას არა აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოქმედების პროგრამა, მას არ შესწევს უნარი მართოს ქვეყნის ეკონომიკა და სწორედ ამის შედეგია ის ჩიხი, რომელშიც საქართველო მოექცა. შემოვიდა წინადადება, რომ პარლამენტმა მოისმინოს მთავრობის ანგარიში.

* * *

28 იანვარს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე კვლავ გაგრძელდა კამათი ბიუჯეტის კანონპროექტის ირგვლივ. ისევე, როგორც წინა დღით, გამომსვლელებმა წარმოადგინეს მრავალი კონსტრუქციული წინადადება, რომელიც ეკონომიკური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს მოიცავდა. ისინი კვლავ ერთსულოვანნი იყვნენ — ბიუჯეტის დეფიციტი რომ შეივსოს, მთავრობამ უნდა დაამუშაოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ღრმად გააზრებული გეგმა, ხოლო პარლამენტმა შეიმუშაოს სათანადო კანონმდებლობა, რათა ეს გეგმა განხორციელდეს.

დეპუტატებმა დიდი ადგილი დაუთმეს კულტურის, მეცნიერების, განათლების, მედიცინის, მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხებს და ჩათვალეს, რომ გარკვეულ ეტაპზე ამ დარგებს ესაჭიროება მთავრობის მხარდაჭერა, ამავე დროს ყურადღება გაამახვილეს რეგიონების, ქალაქების, სოფლების, საწარმოების თვითმმართველობაზე გადასვლის აუცილებლობაზე, რაც მათ საშუალებას მისცემს საკუთარი მოთხოვნილების შესაბამისად გამოიყენონ ამოგებული სახსრები. სხდომაზე ლაპარაკი იყო აგრეთვე არმიის შექმნაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე, სამანეთო ზონიდან გამოსვლაზე, საკუთარი ვალუტის შემოღებაზე და სხვა.

დეპუტატების მოთხოვნით მათ წინაშე გამოვიდა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. გამძაფრებულ კამათში მას დაუპირისპირდა პარლამენტის წევრთა ერთი ნაწილი და ბრალად დასდო, რომ მთავრობა ვერ აკეთებს სწორ პროგნოზირებას, გლობალურად ვერ მართავს ეკონომიკურ პროცესებს. თავის მხრივ პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა უკმაყოფილება პარლამენტის მიმართ, რომელიც დროულად ვერ ახერხებს ეკონომიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მთელი რიგი კანონპროექტების მიღებას.

ბიუჯეტის შესახებ სამი დღის ცხარე კამათი შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

გადაწყდა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი შესწორებების გათვალისწინებით კენჭი ეყარათ მოცემული კანონპროექტისათვის. კენჭისყრის შედეგად პარლამენტმა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის პირველი კვარტალის ბიუჯეტი.

სხდომა გვიანობამდე გაგრძელდა.

ნომერში

⊙ სამაჩაბლოში მშვიდობა მყარდება. 2
⊙ თამაზ ნადარეიშვილი პოზიციას არ იცვლის. 3

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

აფხაზეთის საკითხთა დროებითი კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. აფხაზეთის საკითხთა დროებითი კომისიის შემადგენლობაში დამატებით არჩეულ იქნენ შემდეგი პარლამენტის წევრები:

გიორგი ბარამიძე
ოთარ ზუხბაია
ბორის კაკუბავა
გენო კალანდია
პაატა კოღუაშვილი
თამაზ ნადარეიშვილი
ვახტანგ კოლბაია
თამაზ წოწონავა

2. საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის საკითხთა დროებითი კომისიის მომსახურე პერსონალის შემადგენლობა განისაზღვროს პარლამენტის მუდმივი კომისიისათვის დადგენილი საშტატო განრიგის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1993 წლის 27 იანვარი.

კვლავ არ დავიშურებთ ძალისხმევას!

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

დიდად პატივცემულო სახელმწიფოს მეთაურო!

საქართველოს ენერგეტიკოსები უდიდესი მადლიერების გრძნობით აღიქვამენ თქვენს მიერ მათი შრომის შეფასებას. მოგეხსენებათ, დარგის მუშაკები არასდროს ყოფილან ქებით განებივრებულნი, რასაც ყოველთვის გაგებით ვხვდებოდით — ვითვალისწინებდით ენერგეტიკის ყოვლისმომცველ გავლენას ჩვენი ყოფის ნებისმიერ სფეროზე და ამდენად იმასაც, რა სიმძაფრით განიცდიან ელექტროენერგიის უკმარისობას სხვა გაჭირვებას შეჩვეული მომხმარებლები.

ამავე დროს ჩვენ ყოველთვის გულს გვტკენდა დარგში მიმდინარე პროცესების არაობიექტური და დილეტანტური შეფასება, რაც არც ისე იშვიათია და რამაც უდიდესი ზიანი მოუტანა როგორც ენერგეტიკას, ასევე მთლიანობაში რესპუბლიკის სტრატეგიულ ინტერესებს.

გვინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენზე კარგად არავინ უწყის დარგში არსებული ნაკლოვანებები და გამოუყენებელი რეზერვები, ისიც კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ზამთრისთვის ენერგოსისტემის მზადყოფნის დონე უნაკლო არ არის, რაც მრავალი ობიექტური მიზეზითაა განპირობებული. თუმცა, სამწუხაროდ, არც სუბიექტური მიზეზებისგან ვართ დაზღვეული. ამდენად ჩვენი შრომის თქვენეულ შეფასებას განვიხილავთ როგორც სამომავლო ავანსს, აგრეთვე მოწოდებას საზოგადოებისადმი, რათა ენერგეტიკის პრობლემებით მისი დაინტერესება დაეფუძნოს პირველ რიგში პირუთვნელ და კომპეტენტურ ანალიზს და არა წარმავალ კონიუნქტურას. დარგის საჭირბოროტო საკითხებისადმი ასეთი მიდგომა, ვფიქრობთ, რესპუბლიკის ეკონომიკაში და ხალხის ყოფაცხოვრებაში სასიკეთო ძვრების საწინდარი გახდება.

ჩვენი მხრივ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა უკვე დღეს მივიღოთ ქმედითი ზომები ელექტროენერგეტიკაში შექმნილი კრიზისული მოვლენების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მიმდინარე წელს თბილსრესში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის ახალი, რიგით მეათე ენერგობლოკი, გაგრძელდება მეთერთმეტე ენერგობლოკის მშენებლობა, რომელიც მწყობრში მომავალი წლის დასაწყისში ჩადგება. ახალი და არსებული სიმძლავრეების ეფექტიანობის ამაღლებით წლეულს ელექტროენერგიის წარმოება გაიზრდება 2 მილიარდ კილოვატსაათით ანუ 20 პროცენტით. ეს საშუალებას მოგვცემს 1993/94 წლების ზამთრის ელექტრული დატვირთვის მაქსიმუმი ნაკლები დეფიციტით გავატაროთ. ამასთან წლეულს დაგეგმილია დიდი მოცულობის ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებები, რაც დარგში არსებული რეზერვების ამოქმედების საშუალებას მოგვცემს. ნავარაუდევია ამ გზით ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავების 300-400 მილიონი კვტ-სთ გაზრდა, ელექტროენერგიის დანაკარგების 5 პროცენტით შემცირება, ახალი ეკონომიკური ბლოკების ათვისებით 300 ათასი ტონა პირობითი სათბობის ეკონომიის მიღწევა. ასევე გრძელდება დღევანდელი მოთხოვნების გათვალისწინებით ენერგეტიკის პერსპექტიული განვითარების პროგრამათა დახვეწის სამუშაოები.

გვინდა გამოვხატოთ დიდი მადლიერება იმ თანადგომისა და ზრუნვისათვის, რომელსაც თქვენ მუდმივად იჩენთ სამეურნეო კომპლექსის ამ სტრატეგიული მნიშვნელობის დარგისადმი. ენერგეტიკოსთა მრავალათასიანი კოლექტივის, მისი თითოეული წევრის სახელით გარწმუნებთ, კვლავაც არ დავიშურებთ ძალისხმევას და ენერგიას, რათა ქვეყნის აღორძინებაში ჩვენი ღირსეული წვლილი შევიტანოთ.

**ღრმა პატივისცემით,
საქართველოს ენერგეტიკოსები.**

შეხვედრა სოხუმის აეროპორტში

28 იანვარს სოხუმის აეროპორტში გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, რუსეთის, საქართველოსა და აფხაზეთის მხარეების წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრა ტყვარჩელში ჰუმანიტარული დახმარების მიტანის პირობების თაობაზე. შეხვედრაზე მიიღეს ოქმი, რომელშიც ნათქვამია, რომ შეხვედრის შედეგად მიღებულია შემდეგი გადაწყვეტილებანი:

1. მიღებულ იქნეს გაეროს წარმომადგენლის კარსტრემის წინადადებანი ტყვარჩელის მისამართით ჰუმანიტარული აქციის დაწყების წესის შესახებ.

ა) 1993 წლის 29 იანვარს გაიგზავნოს ტყვარჩელში გაეროს, აფხაზეთის, რუსეთის (რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი) და საქართველოს მხარეების თითო წარმომადგენელი, რომლებიც ბრუნდებიან სოხუმში ტყვარჩელის საქალაქო ხელისუფლებისა და მცხოვრებლების სრულუფლებიანი წარმომადგენლებითურთ საქართველოს და რუსეთის მხარეებთან მოლაპარაკების საწარმოებლად. ყველა სამუშაო შეხვედრა ტყვარჩელში ხორციელდება მხოლოდ ერთობლივად და რუსულ ენაზე.

ბ). მოლაპარაკების დროს სოხუმში აფხაზეთის მხარის ხელმძღვანელობის წარმომადგენელი და ტყვარჩელის სრულუფლებიანი წარმომადგენლები ოქმით იძლევიან მისიის შესრულების უსაფრთხოების გარანტიებს და ადასტურებენ ჰუმანიტარული დახმარების შეუფერხებელ მიღებას. ჰუმანიტარული აქცია დაიწყება ასეთი გარანტიების მიღების შემდეგ მომდევნო დღეს.

გ). ჰუმანიტარული აქციის პარალელურად საქართველოს და აფხაზეთის მხარეები განიხილავენ ჰუმანიტარული დახმარების, ტყვეთა, მძევალთა, დაღუპულთა ცხედრების გაცვლის კონკრეტულ საკითხებსა და სხვა პრობლემებს.

2. მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებებს, რომლებიც დაფიქსირებულია სოხუმში 23 იანვრისა და გუდაუთაში 24 იანვრის სამუშაო შეხვედრების ოქმებში.

3. აქციის მოწყობა არ დაუკავშირდება სამხედრო და სხვა ხასიათის, მათ შორის ამ ოქმის 1 (გ) პუნქტში აღნიშნული საკითხის დაყენებას.

ხელი მოაწერეს:

აფხაზეთის მხრიდან —
**ს. რ. ჯინჯოლიამ,
მ. ვ. ხაშბამ,**

საქართველოს მხრიდან —
გ. ნ. დათუაშვილმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა,

რუსეთის მხრიდან —
ვ. ს. კუდლაიმ, ო. ბ. ჩუდინოვმა და **ი. ვ. ინიუცინმა,**
გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან —
პეერ ერიკ კარსტემმა.

რომის პაპი, რეიგანი, შევარდნაძე...

„ოქროს ბეჭედი“ — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს

სურათზე: ჯილდოს გადაცემის დროს.

გივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ოქროს ბეჭედი“ — უნგრეთის გამოჩენილი მედიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ჰერცოგ ლასლო ბათიან შტრასერის პრემია გადაეცა 27 იანვარს ედუარდ შევარდნაძეს. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური მესამეა რომის პაპისა და რონალდ რეიგანის შემდეგ, რომელსაც ეს პრესტიჟული პრემია მიენიჭა. იგი ყოველწლიურად ენიჭებათ გამოჩენილ მსოფლიო მოღვაწეებს, რომლებმაც შესამჩნევი პოზიტიური წვლილი შეიტანეს მსოფლიო პოლიტიკაში.

გადასცა რა ბათიანის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარემ პეტერ ვერმესმა ჯილდო ე. შევარდნაძეს, უნგრელი ხალხის სახელით დიდი მადლობა მოახსენა იმ პროცესებში აქტიური მონაწილეობისათვის, რომლებმაც უნგრელ ხალხს შესაძლებლობა მისცა მოეხდინა დღევანდელი არჩევანი.

— საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ბათიანის სახელს ატარებს, — თქვა მისმა თავმჯდომარემ, — აერთიანებს მეცნიერებს, ექიმებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. იგი არის საერთაშორისო პენკლუბის დამოუკიდებელი წევრი, ეწევა საგამომცემლო, საქველმოქმედო საქმიანობას. საზოგადოების ექიმები მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტები არიან ბავშვთა ჰემატოლოგიურ დაავადებათა ხაზით, მკურნალობენ პლანეტის სულ სხვადასხვა რეგიონებში.

ბათიანის ოჯახმა უნგრეთს ბევრი გამოჩენილი მეცნიერი, მეომარი, საზოგადო მოღვაწე მისცა. თავად ბათიანმა სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ააშენა საავადმყოფო და უფასოდ მკურნალობდა ავადმყოფებს, გახდა ლეგენდარული პიროვნება. ბათიან შტრასერის სახელობის საზოგადოებამ დააფუძნა პრემია „ოქროს ბეჭედი“.

— მოხარული ვართ, ეს ჯილდო გადავცეთ კაცს, რომელმაც ჩვენს თვალწინ შექმნა ისტორია, — თქვა პეტერ ვერმესმა, — რომის პაპისა და რონალდ რეიგანის შემდეგ იგი წილად გხვდათ თქვენ ბათიანის საზოგადოების წევრების ხმათა უმრავლესობით.

ედუარდ შევარდნაძემ მადლობა მოახსენა ბათიანის საზოგადოების თავმჯდომარესა და წევრებს და აღნიშნა, რომ მისთვის ამ საპატიო ჯილდოს გადაცემა მიაჩნია უნგრელი ხალხის მიერ ქართველი ხალხის მხარდაჭერად.

— ჩვენი ქვეყანა ნამდვილად განიცდის დიდ სიძნელეებს, — თქვა მან. — და დიდად ვაფასებთ თქვენს სურვილს გაიზიაროთ ჩვენი ბედი. ამ ჯილდოს ვიღებ განსაკუთრებული მადლობის გრძნობით იმიტომ, რომ დიდად ვაფასებ ნიჭიერ, თავისუფლებისმოყვარე უნგრელ ხალხს, მის შესანიშნავ ინტელიგენციას.

მოხარული ვარ, რომ სწორედ რონალდ რეიგანის შემდეგ მხვდა წილად ეს ჯილდო. ბევრჯერ შევხვედრივარ ამ შესანიშნავ, ჩემი აზრით, უნიკალურ კაცს, და ვამაყობ ამით. დიდ იმედს ვამყარებ, რომ კიდევ უფრო მჭიდრო იქნება უნგრელი და ქართველი ხალხების თანამშრომლობა.

ბატონმა პეტერ ვერმესმა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გადასცა უნგრელი ხალხის, სამეცნიერო და კულტურული წრეების წარმომადგენლების მისალოცი ბარათი იმასთან დაკავშირებით, რომ უნგრეთის ბათიანის ასოციაციამ მიანიჭა ჰერცოგ ლასლო ბათიანი — შტრასერის საპატიო მემორიალური ოქროს ბეჭედი.

„ბატონო თავმჯდომარევ, — აღნიშნულია მისალოც ბარათში, — ორ-ნახევარი წლის წინათ უნგრეთმა შეძლო დამდგარიყო თავისუფლების გზაზე. ამაში დიდი წვლილი შეიტანეთ თქვენ ერთგული მოღვაწეობითა და თავდადებული მცდელობით. გთხოვთ მადლიერებისა და ულრმესი პატივისცემის ეს ჟესტი მიიჩნიოთ ყოველივე იმის დაფასებად, რაც გააკეთეთ უნგრეთის საკეთილდღეოდ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს.

დარწმუნებული ვართ, რომ თავად ლასლო ბათიანი-შტრასერის მემორიალური ოქროს ბეჭედი მუდამ მოგაგონებთ კარპატის აუზში მცხოვრებ უნგრელ ხალხს, სადაც ბევრი მეგობარი და მხარდამჭერი გყავთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მდიდარი ისტორიის განმავლობაში ბევრი მძიმე და ტრაგიკული მოვლენა გადავიტანეთ, თქვენი ქვეყნის მსგავსად გვქონდა გაბედულება და მუდმივი მზადყოფნა დამოუკიდებლად და თავისუფლად გვეცხოვრა.

ნება გვიბოძეთ, გამოვთქვათ იმედი, რომ უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა განვითარდება ცხოვრების ყველა სფეროში, ეკონომიკური თანამშრომლობის ჩათვლით, რაც შექმნის ორივე ქვეყნის აყვავების, მშვიდობიანი და დამოუკიდებელი ცხოვრების სოლიდურ საფუძველს. გაუმარჯოს საქართველოს თქვენი ხელმძღვანელობით და მოძმე ქართველ ხალხს! გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს და ყოველივე საუკეთესოს! ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ, თქვენი ხალხი და თქვენი ახლობლები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხინვალამდე და იმის იქით...

ერთი დღის ქრონიკა

აი უკვე ნახევარი წელიწადია, რაც გაერთიანებული სამშვიდობო ძალები მოქმედებენ ცხინვალის რეგიონში. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ აქციის შედეგები დადებითია. შეწყდა დაპირისპირებულ მხარეთა საომარი მოქმედებანი.

ავტოინსპექციის საგუშაგოზე

19 იანვარს, ადრე დილით ვეწვიეთ გორის შესასვლელთან მდებარე სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოს. პოლიციის ზემდეგმა, სახელმწიფო ავტოინსპექციის ინსპექტორმა კობა ფხაკაძემ გვითხრა, რომ ცხინვალიდან სოფელ სვენეთამდე და უკან კვირაში ორჯერ დადის ავტობუსი. მისი მგზავრები არიან როგორც ქართველები, ისე ოსები. თვით სოფელ სვენეთში კი ოსთა რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს. მათთან სტუმრად ჩადიან ნათესავები ცხინვალიდან. გორის რაიონში მათ სიცოცხლეს არაფერი არ ემუქრება.

გაოცებულმა გვიპასუხა

— **როგორ** ცხოვრობენ ოსები გორის რაიონში? — ასეთი კითხვა დავუსვით ამ საგუშაგოსთან მიმავალი ერთ-ერთი სატვირთო მანქანის მძღოლს, ეროვნებით ოსს ოთარ ქერდიკოშვილს.

— სოფელ შავშვებში ვცხოვრობ, — გვიპასუხა მან. — სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა ასეთი კითხვა რომ დამისვით. ვცხოვრობ ისევე, როგორც სხვები, ქართველები, მშვიდობიანად, წყნარად. ჩვენი ოჯახი ქართველებთან შეხმატკბილებულად ცხოვრობს.

ძლიან მშვიდობის დამყარებას

გორის პოლიციის სამმართველოსკენ მიმავალ გზაზე „ჟიგულის" მძღოლი ზურაბ ბეჟანიშვილი, სოფელ სვენეთის მკვიდრი, სიამოვნებით დამთანხმდა იქამდე მივეყვანე. მან მითხრა, რომ უკვე მეექვსე თვეა ცხინვალელი ოსები ჩამოდიან გორში, როგორც წინათ, როცა არავითარი მტრობა არ ჰქონდათ ქართველებთან. ყველაზე ხშირად მათი ნახვა შეიძლება გორის ბაზარში. ისინი იქ იძენენ სურსათს და ადგილობრივ მოსახლეობასთან ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე ბრუნდებიან შინ — ცხინვალში.

— მაგრამ, სამწუხაროდ, — თქვა შემდეგ მან, — ჩვენთვის, ქართველებისათვის არც თუ ისე იოლია ცხინვალში მოხვედრა. როცა გვსურს შევიძინოთ იქ კვების ესა თუ ის პროდუქტი, რომელიც ცხინვალში შედარებით იაფი ღირს. მარტონი იქ ვერ ჩავდივართ.

ნარკოტიკები და რეკეტი გზაზე

უკანასკნელ ხანს, როგორც გორის პოლიციის სამმართველოს უფროსი ემზარ საბანაძე ფიქრობს, როკის გვირაბით საქართველოში თავიანთი საქონლის შემოტანა დაიწყეს ნარკობიზნესის წარმომადგენლებმა. სამართალდამცველმა ორგანოებმა ჯერჯერობით მხოლოდ სამი ასეთი შემთხვევა დააფიქსირეს, მაგრამ არის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ეს კონტრაბანდა პატარ-პატარა პარტიებით ყოველთვის აღწევს ხოლმე ადრესატამდე.

საჭიროა პატრულირება

რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის საპატრულო სამსახური, რომელიც ახორციელებს კონტროლს გორი-ცხინვალის გზაზე მოძრაობისადმი, ახლა მხოლოდ ძირითადად იმით არის დასაქმებული, რომ აცილებს სატვირთო და მსუბუქ ავტომანქანებს. აქ ხშირად შეხვდებით სამხედრო ფორმაში ჩაცმულ ავტომატებით შეიარაღებულ ადამიანებს. გახშირდა რეკეტის შემთხვევები. გამოსავალი ერთია — საჭიროა პატრულირება განახორციელდეს ერთობლივად სამხედრო და სამოქალაქო პოლიციის ძალებით.

„გზებზე ყველაფერი წესრიგშია?"

— **ჩვენ** აქ იმისთვის ვართ, — გვითხრა გორი-ცხინვალის საავტომობილო გზაზე არსებული რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის საპატრულო სამსახურის უფროსმა გიორგი თუშიშვილმა, — რომ არ დავუშვათ ცეცხლსასროლი იარაღის შემოტანის, აგრეთვე ძარცვის შემთხვევები. დღემდე ჩვენს მიერ არ არის რეგისტრირებული არც ერთი ასეთი შემთხვევა. ჩვენ ისე გავაძლიერეთ მუშაობა, რომ მძარცველებს აქ უკვე არაფერი აღარ ესაქმებათ.

მივხედოთ ხეებს

უკანასკნელ ხანს გორი-ცხინვალის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე ქართული სოფლების მოსახლეობა ჩეხავს ხოლმე ხეებს ამ მონაკვეთზე. ამას კი ისინი იმიტომ აკეთებენ, რომ იგრძნობა ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტი და გაძვირდა საწვავ-საპოხი მასალები. მოჭრილი ხეების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. რაიონის ხელისუფლები ან არაფერს არ აკეთებენ ამ საკითხის მოსაგვარებლად, ან მათ, უბრალოდ, არ ძალუძთ შეაჩერონ ასეთი, გარკვეულწილად გამართლებული, ბარბაროსობა.

როგორ ამოვიღოთ იარაღი?

ცხინვალის მიმდებარე სოფლების მოსახლეობაში დაგროვდა სხვადასხვა ტიპის დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი. მის ამოსაღებად საჭიროა კანონის მიღება, რომელიც პოლიციას მისცემს უფლებას გამოიყენოს იარაღი. ასე ფიქრობს გორის პოლიციის სამმართველოს მრავალი მუშაკი. მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლება გავუგოთ ამ სოფლების მცხოვრებლებსაც, ავტომატებისა და პისტოლეტების მფლობელებს, რომლებსაც იგი თავდაცვის მიზნით აქვთ, რადგან ყოველ წუთს მოელიან, რომ კვლავ განახლდება შეიარაღებული შეტაკებები... მათ სჭირდებათ გარანტიები, მაგრამ ვის შეუძლია ამ გარანტიების მიცემა?

ვერაფერს ვერ იტყვი. ორივე მხარეს საკმაო არგუმენტები აქვს, მაგრამ პრობლემა კვლავ ძალზე მწვავეა.

ცხინვალის შესასვლელთან მდებარე საგუშაგოზე

საქართველოს სამშვიდობო ძალების ბატალიონის რიგითებმა ნუგზარ ფაფელიშვილმა და ავთანდილ კარკიშვილმა, რომლებიც ცხინვალის შესასვლელთან მდებარე საგუშაგოზე იდგნენ, გვითხრეს, რომ გავრცელდა ხმები—რუსეთის სამშვიდობო ძალები აპირებენ ამ ადგილების დატოვებასო. როგორც ისინი მიიჩნევენ, ასეთი ნაბიჯი დადებით ეფექტს მოგვიტანს. ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება და არავითარი ომი აღარ იქნება. საჭიროა კიდევ გარკვეული დრო, რათა მოშუშდეს იარები ჩვენი ხალხების გულებში. დღეისათვის ამ რეგიონში მცხოვრები ოსების უმეტეს ნაწილს სურს მშვიდობიანად ცხოვრება ქართველებთან. და მხოლოდ ერთი მუჭა ოსი ექსტრემისტები არ ცხრებიან.

სამშვიდობო ძალების ბატალიონში

ბატალიონის მეთაურის მოადგილეს მაიორ გელა ლომაურს მიაჩნია, რომ ჯავის რაიონში კონცენტრირებულ ოს ბოევიკებს ბევრად უკეთესი სამხედრო ტექნიკა აქვთ, ვიდრე საქართველოს სამშვიდობო ძალებს. ამასთანავე ეს ბოევიკები თავისუფლად გრძნობენ თავს, მათ არავინ არ აკონტროლებს. პრაქტიკულად ისინი რეკეტიორობენ საავტომობილო გზებზე, როკის გვირაბიდან დაწყებული თვით ცხინვალამდე. არის მათი ბანდიტიზმის მრავალრიცხოვანი ფაქტები.

რაც შეეხება ქართველი და ოსი მოსახლეობის დამოკიდებულებას საქართველოს სამშვიდობო ძალებისადმი, ამ თვალსაზრისით შეიმჩნევა მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები. მაგალითად, გ. ლომაური და მისი ბატალიონის რამდენიმე მეომარი მიიწვიეს ოსთა ქორწილზე სოფელ გერში და იქ დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ როგორც მასპინძლები, ისე მათი სტუმრებიც.

დიულა აბაშიძე

პოლკოვნიკი, საქართველოს სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსი. იგი თავშეკავებული და კეთილმოსურნეა. 16 წლიდან მსახურობს შეიარაღებულ ძალებში. არის ავღანეთის ომის მონაწილე, იქ სამხედრო მრჩეველი იყო.

— 29 დეკემბრამდე, — ამბობს იგი, — ამ რეგიონში მდგომარეობა სტაბილური იყო. მე ვიტყოდი, მკვეთრად დაისახა ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტის დადებითი მოწესრიგების ტენდენცია. ცხინვალის მცხოვრებთა უმრავლესობას შეგნებული აქვს, რომ ორ ხალხს მთელი ეს კონფლიქტი ხელოვნურად მოახვიეს თავს. მაგრამ ამ მომენტიდან, უფრო ზუსტად კი ბიძაშვილების — ბერუაშვილების, სოფელ ერედვის მცხოვრებლების ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის წარმომადგენლების მკვლელობის შემდეგ, მდგომარეობა რამდენადმე გართულდა.

გახშირდა ავტომობილების გატაცების შემთხვევები, მძევლების აყვანა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან.

— რაც შეეხება სამშვიდობო ძალების რუსთა ბატალიონის წასვლის გამო ჭორებს, — განაგრძო მან, — თუ ეს მოხდა, ვფიქრობ, სწორი არ იქნება. ხოლო ოსთა მხრიდან შეიარაღებული ძალების რაღაც თავმოყრის შესახებ მონაცემები ჯერჯერობით არა გვაქვს.

მშვიდობა შორს არ არის...

— ეს იყო არა ჩვენ შორის ომი, არამედ ხანგრძლივი ჩხუბი, — თქვა ცხინვალის რეგიონის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსმა აბესალომ ხუბულურმა. ფაქტობრივად იგი ჩვენს ხალხებს თავს მოგვახვიეს ნაციონალისტურად განწყობილმა მცირერიცხოვანმა ელემენტებმა. დარწმუნებული ვარ, რომ ლტოლვილები დაუბრუნდებიან თავიანთი ბინადრობის უწინდელ ადგილებს.

სოფლებში თამარაშენში, კეხვსა და აჩაბეთში

სოფელ თამარაშენთან ცხინვალის საზღვარზე დგას საგუშაგო, რომელსაც რუსთა და ოსთა სამშვიდობო ძალები აკონტროლებენ. ორას მეტრამდე რომ გავიარეთ, გავჩერდით ამ სოფლის მცხოვრები ახალგაზრდა ადამიანების ჯგუფთან.

— ჩვენ, ცხინვალის მახლობლად და უფრო ზემოთ განლაგებული ქართული სოფლის მოსახლეობას ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს დავიწყებული ადამიანები ვიყოთ. — თქვა ზაზა გაგნიძემ, სოფელ თამარაშენის სიმღერის მასწავლებელმა. — ნუთუ ძნელია ჩვენთან თუნდაც ერთი დღით საკონცერტო ბრიგადის გამოგზავნა. ეს ხომ წაახალისებს ჩვენი სოფლების მოსახლეობას. ოსებთან კი მტრობა არ გვსურს. მზად ვართ დავივიწყოთ წყენა და ამასვე ვხედავთ ცხინვალის 25 წლის და მეტი ასაკის მცხოვრებთა შორისაც. სამწუხაროდ, მოზარდებსა და ჭაბუკებს ეს გრძნობა არა აქვთ.

თბილისში დაბრუნებისას

ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ ცხინვალის რეგიონში დღენიადაგ უნდა იყვნენ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები. მათი კეთილგანწყობილი ინფორმაცია, როგორც დ. აბაშიძემ შენიშნა, — მალამოდ მოეცხება ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობას. სამწუხაროდ, რეგიონიდან მაინც იშვიათია ხოლმე ინფორმაცია ჩვენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

თენგიზ ჩხიკვაძე.
ცხინვალი—თბილისი.

სუფიან ბეპაევის პრესკონფერენცია

ამიერკავკასიაში მყოფი რუსეთის არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები ახლანდელი პოლიტიკური სიტუაციისა და საკუთარი ბედის მძევლები არიან, — განაცხადა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის ყოფილმა მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა სუფიან ბეპაევმა, რომელიც ამჟამად რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის განკარგულებაშია, მაგრამ კვლავ თბილისში ცხოვრობს.

ქართველი და საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე ბეპაევმა საქართველოში რუსეთის ჯარის ნაწილებზე უკანასკნელი თავდასხმები დაახასიათა, როგორც არაცივილიზებული და თქვა, რომ კვლავ მუშაობს ამ პრობლემებზე.

დღეს ამიერკავკასიაში დარჩა ძირითადად საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების საერთო რიცხვის 10 პროცენტი და მათი რიცხოვნობა 15 ათასს არ აღემატება. ამ ნაწილების უმრავლესობა არ არის მთლიანად დაკომპლექტებული და არ ძალუძს საბრძოლო ამოცანების შესრულება. გამოთქვა რა თავისი პირადი აზრი, გენერალმა ბეპაევმა აღნიშნა, რომ, თუ გავითვალისწინებთ ამ გარემოებებს, აგრეთვე საქართველოში რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებისადმი დამოკიდებულებას, მიზანშეწონილად არ მიაჩნია რუსეთის ჯარების ყოფნა საქართველოსა და სომხეთში.

— ჯარების ჯგუფი უნდა დაიშალოს, პირადი შემადგენლობა კი გაყვანილ უნდა იქნეს. მე ვიცი, თუ როგორია რეალური მდგომარეობა ჯარის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში და დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის ერთადერთი გამოსავალი, — თქვა გენერალმა. ბეპაევის აზრით, ჯარების შესახებ რუსეთ-საქართველოს შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში ეს აუტანელი პროცესი გაჭიანურდება და ახალი მსხვერპლი მოჰყვება, ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა კი მხოლოდ ხელს შეუწყობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ამავე დროს ცნობილია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიდი შეთანხმების ხელმოწერის შემთხვევაში, რუსეთის ჯარები საქართველოში დარჩებიან 1995 წლის ბოლომდე, და, თუ არცერთ მხარეს არ ექნება პრეტენზიები ამ ვადის გასვლამდე ნახევარი წლის განმავლობაში, იგი ავტომატურად გაგრძელდება კიდევ სამი წლით.

გენერალმა ბეპაევმა აგრეთვე, განაცხადა, რომ „მის ზურგს უკან მდგომი ძალები, აგრეთვე ზოგიერთი ძალები საქართველოში" აპირებენ შეიტანონ სასამართლო სარჩელი გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" კორესპონდენტის აკაკი მიქაძის წინააღმდეგ, ამ გაზეთში გასული წლის 20 დეკემბერს გამოქვეყნებული პუბლიკაციისათვის მასალაში, რომელიც ამ გაზეთმა გამოაქვეყნა, ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის სამხედროები და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი უშუალოდ მონაწილეობდნენ საქართველოს ექსპრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დამხობაში, აგრეთვე, ამარაგებდნენ მებრძოლ მხარეებს იარაღით ამიერკავკასიაში მიმდინარე მრავალრიცხოვან კონფლიქტებში. ბეპაევმა ამ მტკიცებებს აბსოლუტურად ყალბი უწოდა და განაცხადა, რომ რუსეთის არმია ამ კონფლიქტების დროს ნეიტრალიტეტს იცავდა.

ბეპაევმა თქვა, რომ დიდად აფასებს საქართველოს თავდაცვის მინისტრს, და მისი და კიტოვანის დამსახურებაა, რომ დღეს აფხაზთა მხარეზე თითქმის არ ომობენ ჩრდილოეთკავკასიელები. „ჩვენ ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ ამისათვის", — განაცხადა ბეპაევმა, ეროვნებით ბალყარელმა. გენერალს არ გამოურიცხავს იმის შესაძლებლობა, რომ გადადგომის შემდეგ პოლიტიკას მოჰკიდებს ხელს სამშობლოში—ყაბარდო-ბალყარეთში, სადაც დაიცავს ერთიანი რუსეთის ინტერესებს.

სამი კითხვა ახლადდანიშნულ ხელმძღვანელს

რით დავიწყოთ? ელემენტარული ცხოვრებისეული საკითხების მოგვარებით

გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრი მურთაზ ზანქალიანი.

დაიბადა 1939 წელს, პროფესიით ეკონომისტია. 1978-80 წლებში მუშაობდა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის (ცეკავშირის) სისტემაში — იყო სამმართველოს უფროსი, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ცეკავშირის ბანკის გამგეობის თავმჯდომარე. ბოლო წლებში მუშაობდა საქართველოს წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ, თავმჯდომარედ. შარშან ოქტომბერში აირჩიეს რესპუბლიკის პარლამენტის წევრად. არის პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ლიგის" თავმჯდომარის მოადგილე.

ცოლშვილიანია.

— როგორ შეაფასებდით, ძალიან მოკლედ, საქართველოს ეკონომიკასა და დარგში ამჟამად შექმნილ მდგომარეობას?

— უმძიმესი სურათია მთლიანად რესპუბლიკის ეკონომიკაში და შესაბამისად იმ დარგებში, რომლებსაც სამინისტრო ხელმძღვანელობს მოშლილია ეკონომიკური კავშირები. პოლიტიკა ბატონობს ეკონომიკაზე. ასე დიდხანს გაგრძელება არ შეიძლება. დროზე უნდა გავერკვეთ, რა გვინდა, საით ვიაროთ, რა გაგვაჩნია, რა საშუალებებს დავეყრდნოთ. ეკონომიკაში რადიკალიზმი ძალზე სარისკო რამაა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ახლა უფსკრულის პირზე ვდგავართ. ერთ მხარეს ჯოჯოხეთი და წყვდიადია, მეორეზე კი ნათელი მომავალი, ოღონდ არ ვიცით, რომელი რომელ მხარეზეა. არჩევანი დიდი ჭკუითა და ღრმა ანალიზით უნდა გავაკეთოთ, იმედი მაქვს, ქართველი კაცის ნათელი ჭკუა-გონება ახლაც სწორად განსჯის.

— თქვენი აზრით, რა არის საჭირო ახლანდელი მდგომარეობის თუნდაც ნაწილობრივ გაუმჯობესებისათვის და კონკრეტულად რისი გაკეთება მიგაჩნიათ აუცილებლად უახლოესი თვეების მანძილზე?

— ჩვენ მტკიცედ უნდა დავდგეთ საბაზრო ეკონომიკის გზაზე. მისგან გადახვევა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. თორემ ვერასოდეს ვერ მივალთ ცივილიზებულ ეკონომიკამდე. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს გზა საკმაოდ ეკლიანი იქნება. მისი ფორსირებულად გავლა არ გამოვა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მრავალი ქვეყნის მაგალითი გვიდევს თვალწინ — აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, ჩინეთი, აზიის განვითარებული ქვეყნები და სხვა. ყველასგან უნდა ვისწავლოთ, მაგრამ ჩვენეულ ქართულ ვარიანტზეც უნდა ვიფიქროთ. ჩემი აზრით, უნდა დავიწყოთ ერთი შეხედვით უმარტივესი საკითხების მოგვარებით. სახელმწიფომ საბაზრო ეკონომიკის საწყის ეტაპზე ერთბაშად არ უნდა მოიხსნას თავისი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დაცვის მოვალეობა. ანგარიში უნდა გავუწიოთ სამოცდაათწლიან რეალობას, როცა კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იყო ჩვენი „არსებობის გარანტი".

სასწრაფოდ უნდა დავთვალოთ საკუთარი მატერიალური და ფულადი რესურსები და ის კრედიტები, რომელიც შეიძლება მივიღოთ დახმარებისა თუ შეღავათიანი პროცენტებით და უპირველესად მივმართოთ იგი მოსახლეობის შიმშილისა და სიცივისაგან დასაცავად. პირველ რიგში ეს საკითხები უნდა დაარეგულიროს ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტრომ, საამისოდ შეიძლება რაღაც პროგრამისმაგვარიც შევიმუშაოთ და ამის შემდეგ ვიფიქროთ უფრო მაღალ მატერიებზე— განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაზე. რამდენიმე ჩემს კოლეგა მინისტრთან ამის შესახებ უკვე მქონდა კონცეპტუალური საუბრები. ვნახოთ, პრაქტიკულად რა გამოგვივა.

— როგორ გესახებათ თქვენი უწყების მუშაობა დღევანდელ პირობებში?

— დღეისათვის ყოფილი ვაჭრობის სამინისტროს უდიდეს მოვალეობად მიმაჩნია შევძლოთ მოსახლეობას თუნდაც სიებითა და ტალონებით შეუფერხებლად მივაწოდოთ ისეთი აუცილებელი პროდუქტების მინიმუმი, როგორიცაა: შაქარი, ზეთი, მარგარინი, ბურღულეული, მარილი, თამბაქო, შეძლებისდაგვარად კარაქი, ხორცპროდუქტები, რძის ნაწარმი. ამის შემდეგ უნდა ვიზრუნოთ სამრეწველო და სხვა სასურსათო საქონლის სახელმწიფო სავაჭრო ქსელში მოზიდვაზე. ეს უნდა მოხდეს არასახელმწიფო სექტორის კომერციულ ორგანიზაციებთან ჯანსაღი კონკურენციის პირობებში. ვაჭრობაში მონოპოლია არც ერთ სექტორს არ უნდა ჰქონდეს. სწორედ მონოპოლიზმი იწვევს დეფიციტს თავისი უარყოფითი შედეგებით.

რაც შეეხება დღეს უკვე რეორგანიზებულ მატერიალურ რესურსების სამინისტროს, მან უნდა გააქტიუროს მუშაობა უპირველეს ყოვლისა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან გაუფერულებული ან უკვე გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირების აღსადგენად, რათა ახლადშექმნილი ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტრო გახდეს სასურველი პარტნიორი ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო და აგრარული სექტორის საწარმოებისთვის. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარია მატერიალური დარგების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სხვათა აღორძინება. საქართველომ თვითონვე თუ არ შექმნა თავისი სამყოფი მატერიალური დოვლათი, ისე რეალურ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

● **ქალაქი ნაგავმა წალეკა. დიახ, ეს ასეა, როგორც ამის შესახებ თქვენი გაზეთი ამას წინათ სამართლიანად წერდა. იქნებ რომელიმე საწარმო დაინტერესდა სპეციალიზებული სანიტარიული ერთჯერადი პარკების გამოშვებით, რითაც საოჯახო ნაგავს გადავყრიდით და ნაგვის ბუნკერებთან მიმდებარე ტერიტორიასაც არ დავანაგვიანებდით?**

დიასახლისი **თამარ შანშიაშვილი.**

გვიპასუხებს გაერთიანება „თეთრონის" გენერალური დირექტორი **ანატოლი ჩიჩუა:** — გაერთიანებას აქვს საკმარისი სიმძლავრეები, რათა დააკმაყოფილოს ქალაქის მოსახლეობა ერთჯერადი სანიტარიული პარკებით, მაგრამ ვაწყდებით ისეთ სირთულეს, როგორიცაა ნედლეულის შემოზიდვა თანამეგობრობის ქვეყნებიდან. პოლიეთილენს ჩვენ ვიღებდით უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ნაწილობრივ — აზერბაიჯანიდანაც. მოგეხსენებათ, დღეისათვის გასაგები მიზეზების გამო ამ ქვეყნებს შორის საბანკო სტრუქტურები ჯერ სრულად არ ამუშავებულა, ნედლეულის მოწოდება კი მთლიანად შეწყვეტილია, მაშინ როცა წლიური მოხმარება 5-6 ათას ტონას შეადგენს. ნედლეულის ის მარაგი, რაც დღეისათვის გვაქვს, მთლიანად ხმარდება სარეცხი საშუალებებისათვის ტარის დამზადებას. სარეცხი საშუალებების ნედლეული საკმარისი რაოდენობით, გვაქვს, მაგრამ იანვარში ჩვენს საწარმოებს თითქმის არ უმუშავია ელექტროენერგიის მოუწოდებლობის გამო. სადღეისოდ მდგომარეობა ამ მხრივ გაუმჯობესდა, აზერბაიჯანთან კონტაქტებიც აღდგენილია და თუ ქალაქის მერიის სათანადო სამსახური ჩვენთან შეკვეთას გააფორმებს ერთჯერად სანიტარიულ პარკებზე, ჩვენ ვპირდებით მოსახლეობას, რომ მათ მოთხოვნილებას ამ მხრივ მთლიანად დავაკმაყოფილებთ, მით უმეტეს, ტექნოლოგიური პროცესი ათვისებული გვაქვს.

●

● **ცნობილია, რომ გასულ ზაფხულს, აგვისტოს პირველ რიცხვებში გაიძარცვა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა. დაიკარგა ძირითადად საცნობარო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი. გვაინტერესებს ძიების შედეგი.**

ირინე მახარაძე.

გვპასუხობს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი **აკაკი ძიძიგური.**

ჯერ კიდევ სექტემბერში ერთმა ყმაწვილმა დაგვირეკა და დაგვითქვა ადგილი, სადაც მიიტანდა დაკარგული ლიტერატურის ნაწილს, მართლაც, ასე მოიქცა. ასე ანონიმურად დაგვიბრუნდა 46 დასახელების წიგნი, გვაკლია კიდევ 40-ზე მეტი. სავარაუდოა, ქურდები ორნი იყვნენ, ერთმა ისინდისა, მეორემ კი ჯერჯერობით არა. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ დაკარგული წიგნების მეორე ნაწილიც დაგვიბრუნდება.

რედაქციისაგან: ჩვენ ამავე შეკითხვით მივმართავთ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს და პასუხს გაცნობებთ.

სასამართლო რეფორმის პირველი ნაბიჯები

ინტერვიუ

როგორც ჩვენმა საზოგადოებრიობამ იცის, შექმნილია და მუშაობს სასამართლო რეფორმის სამთავრობო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი თენგიზ ლილუაშვილი. ახლახან ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა მას და რამდენიმე შეკითხვა მისცა იმის თაობაზე, თუ რა კეთდება სასამართლო რეფორმის განხორციელებისათვის.

— ბატონო თენგიზ! საქართველოს პარლამენტის სხდომაზე არაერთგზის აღინიშნა, რომ განზრახულია სასამართლო რეფორმა და შექმნილია შესაბამისი სამთავრობო კომისია. თუ შეიძლება, გვითხარით, როგორ მუშაობს ეს კომისია და როდის უნდა ველოდოთ რეფორმებს ამ სფეროში.

— სასამართლო რეფორმის კომისია გასული წლის აპრილში შეიქმნა. კომისიის შემადგენლობაში არიან, როგორც სწავლული იურისტები, ისე იუსტიციის დარგის გამოცდილი პრაქტიკული მუშაკები. სამუშაოები განაწილებულია კომისიის წევრებს შორის. ყველამ იცის, რა ევალება და რა აკეთოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლო რეფორმა მოიცავს არა მარტო საკუთრივ სასამართლოს, არამედ ყველაფერს, რაც წინ უსწრებს სასამართლოს ან უშუალოდ უკავშირდება მართლმსაჯულების აღსრულებას. ასეთებია, მაგალითად, გამოძიება, პროკურატურა, ადვოკატურა. ამიტომ, სასამართლო რეფორმის კომისია ამ პრობლემებზეც მუშაობს. ვადა, რომელიც ჩვენ გვაქვს მოცემული (2 წელი), რა თქმა უნდა, ძალიან მცირეა. არცერთ ქვეყანაში ასე მცირე დროის მონაკვეთში სასამართლო რეფორმა არ მომზადებულა და, მით უმეტეს, არ გატარებულა. ყოველნაირად ვეცდებით, ვადაზე წარვადგინოთ ჩვენი პირველი პროექტები, ამჟამად მზად გვაქვს კონცეფცია და სასამართლო რეფორმის პირველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამუშაო ვარიანტი, რომელსაც ახლო მომავალში განვიხილავთ და დავხვეწთ.

— ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ, ალბათ, ცხადია, არსებულმა სასამართლო სისტემამ ვერ გაამართლა და იგი უნდა შეიცვალოს.

— მართალი გითხრათ, თავდაპირველად დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენში არსებული სასამართლო სისტემა მანკიერია და ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიზეზი ნამდვილი მართლმსაჯულების უქონლობისა. საკითხის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა რომ ეს მთლად ასე არ არის. მანკიერია არა სასამართლო სისტემა, არამედ პირობები, რომელშიც ამ სისტემას უხდება ფუნქციონირება. საქმე ისაა, რომ ჩვენი დღევანდელი სასამართლო სისტემა გადმოღებულია (თუმცა, გარკვეული შესწორებებით) შეფენების სასამართლოსაგან. შეფენების სასამართლო გერმანული მოვლენაა და იგი დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს არა მარტო გერმანიაში, არამედ ევროპის მთელ რიგ სხვა ქვეყნებშიაც.

მიუხედავად ამისა, მსაჯულთა (შეფენების) სასამართლო უნდა შეიცვალოს იმიტომ, რომ იგი ჩვენი პირობებისათვის შეუსაბამო და შეუფერებელი აღმოჩნდა, რის გამოც, მან დაკარგა ყოველგვარი ავტორიტეტი. ავტორიტეტის დაკარგვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი არის, მსაჯულთა სრული პასიურობა, მათი გულგრილობა და პროფესიული მოსამართლისადმი სრული მორჩილება, მის გავლენაში მოქცევა. ასეთი მსაჯულებისაგან, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავათავისუფლოთ სასამართლო.

— დღეს საზოგადოებრივი აზრი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სასარგებლოდ იხრება...

— ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უდავოდ არის მსაჯულთა გააქტიურების გარანტია, რადგან ასეთ სასამართლოში ფუნქციები გამიჯნულია: ნაფიცი მსაჯულები მოსამართლისაგან დამოუკიდებლად წყვეტენ ფაქტის საკითხს, გამოაქვთ ამ საკითხზე თავისი ვერდიქტი, ხოლო შემდეგ პროფესიული მოსამართლე მსაჯულებისაგან დამოუკიდებლად იურიდიულ შეფასებას (კვალიფიკაციას) აძლევს ამ ფაქტებს და უფარდებს სასჯელის ზომას.

ამავე დროს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აქვს სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებზეც მიუთითებენ იმ ქვეყნის იურისტებიც, სადაც ეს სასამართლოები ფუნქციონირებენ, კერძოდ, ნაფიცმა მსაჯულებმა არ იციან სასამართლო პროცესის წესები და მოქმედებენ მხოლოდ თავიანთი ინტუიციით მტკიცებულებათა შეფასების დროს; ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ არამოტივირებული ვერდიქტი, რის გამოც, იგი მოკლებულია დამაჯერებლობას; მხარეებს უფლება აქვთ, მისცენ უმოტივო აცილება ნაფიც მსაჯულებს, ხოლო სასამართლო ვალდებულია მიიღოს ეს აცილება. ამიტომ, ხშირად ძლიერ რთულდება მათი შერჩევა და ჟიურის შედგენა.

საყოველთაოდ აღიარებულია კიდევ ერთი გარემოება, რომლის გათვალისწინებას ჩვენთვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება აუცილებლად გულისხმობს იმ საზოგადოების მართალშეგნების შესაბამის დონეს, რომელშიც ამ სასამართლომ უნდა იმოქმედოს, ჩატარებულმა გამოკვლევებმა (ეს კარგად ჩანს, უბრალო დაკვირვებითაც) გვიჩვენეს, რომ ჩვენი საზოგადოების მართლშეგნების დონე ძალიან დაეცა. ცხადია, ასეთ აფორიაქებულ და აღშფოთებულ საზოგადოებაში ძალიან გაძნელდება მიუკერძოებელი ნაფიცი მსაჯულებით ჟიურის შედგენა.

ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ საბოლოოდ უნდა ვთქვათ უარი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე. საქართველოს მომავალმა კონსტიტუციამ უნდა გაითვალისწინოს შესაძლებლობა (და არა სავალდებულობა) შემოღებულ იქნეს, მომავალში ორგანული კანონით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ზოგიერთი მძიმე დანაშაულის შესახებ საქმეების გასარჩევად.

— გამოდის, რომ ჩვენი საშველი არ იქნება?

— უსაშველო და გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. საჭიროა მხოლოდ ამ „საშველის" და „გამოსავლის" პოვნა. ამისათვის კი, სხვა ბევრ რამესთან ერთად, საჭიროა დინჯი და მოფიქრებული მუშაობა, პრობლემის ყოველმხრივ შესწავლა.

სასამართლო რეფორმის წარმატებისათვის აუცილებელია იმ მიზეზების გარკვევა, რომლებმაც, გადამწყვეტი როლი შეასრულეს მართლმსაჯულების **კრიზისში** და, აქედან გამომდინარე, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების აბუჩად აგდებაში. კანონიერებისა და მართლწესრიგის უგულებელყოფაში, ელემენტარული წესრიგის უქონლობაში. ასეთი მიზეზები მრავალია, მაგრამ დავასახელებ მხოლოდ მთავარს: დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების უქონლობა, უფრო ზუსტად — მისი სრული დამოკიდებულება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე; მოსამართლეთა დაბალი პროფესიული და ზნეობრივი დონე; სასამართლო სისტემის მოუმარჯვებლობა ჩვენი პირობებისათვის.

— სასამართლო რეფორმის ამოცანაა ამ მიზეზების აღმოფხვრა. როგორ გესახებათ საამისო გზები?

— **პირველი.** სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია შემუშავდეს კონსტიტუციური საფუძვლები. სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების ყველა ფუნდამენტურმა პრინციპმა თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს საქართველოს კონსტიტუციაში. იურიდიულად უნდა დამკვიდრდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის ისეთი გარანტიები, როგორიცაა: სასამართლოს იურისდიქციის ყოვლისმომცველობა — ყველაფერი, რაც დაკავშირებულია სამართალთან და კანონთან, შეიძლება გახდეს სასამართლოს განხილვის საგანი; ფიქციად გამოცხადება უფლებისა, რომლის დაცვა სასამართლოს მეშვეობით არაა შესაძლებელი; სასამართლოს უმაღლესი ზედამხედველობა სხვა სამართალდამცავი ორგანოების მიერ კანონების განმარტების თუ შეფარდებისადმი; მოსამართლის თანამდებობის მუდმივად დაკავება და მისი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება; მოსამართლის თანამდებობის შეუთავსებლობა რომელიმე პოლიტიკური პარტიის თუ ორგანიზაციის წევრობასთან. სასამართლო აქტების სავალდებულობა და მათი გადასინჯვის დაუშვებლობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ და ა. შ.

მეორე, ყველაზე, უფრო რაციონალურად ჩვენი დღევანდელი, პირობებისათვის შეიძლება მივიჩნიოთ მართლმსაჯულების განხორციელება პროფესიული მოსამართლეების მიერ მსაჯულების მონაწილეობის გარეშე. ასეთი სისტემა ფუნქციონირებს იაპონიაში. ფაქტობრივად კი ეს სისტემა ევროპაშიც ფუნქციონირებს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმეთა გარჩევის შემთხვევები ძალიან იშვიათია. ასეთ პირობებში ორი საკითხი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას; ერთი — ესაა სასამართლოს ხელმისაწვდომობა და მისი მიახლოვება (ტერიტორიულად) მოსახლეობასთან და მეორე — სასამართლო შეცდომების გასწორების ოპტიმალური ფორმებისა და მეთოდების შემუშავება. ბოლო უნდა მოეღოს საქმეთა და ამ საქმეში მონაწილე პირთა დაუსრულებელ მოძრაობას პირველი ინსტანციის სასამართლოდან საკასაციო ინსტანციაში და პირიქით. ამ მიზნით, ვფიქრობთ, შემოვიღოთ საპელაციო ინსტანცია და სრულვყოთ საკასაციო ინსტანცია.

ბოლოს, **მესამე,** უნდა ამაღლდეს მოსამართლეთა პროფესიული და ზნეობრივი დონე, საკანონმდებლო წესით უნდა განსაზღვროს მოთხოვნები, რომელთაც მოსამართლე უნდა უპასუხებდეს. ვერც ერთი, ყველაზე პროგრესული სასამართლო სისტემაც კი ვერ იმუშავებს, თუ სასამართლო ხელისუფლება მინდობილი არ აქვს მაღალპროფესიულ და მაღალზნეობრივ ადამიანებს. ეს არის არა მარტო სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, არამედ მართლმსაჯულების აღსრულების უცილობელი პირობა.

აქ უსათუოდ უნდა მიექცეს ყურადღება ერთ გარემოებას: მოსამართლე შინაგანად უნდა გრძნობდეს თავს, როგორც დამოუკიდებელი პიროვნება, როგორც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელი აღმასრულებელი.

ეს კი არც ისე ადვილია. საბჭოთა ხელისუფლების მთელი დროის მანძილზე, სასამართლო როგორც ერთ-ერთი ჩვეულებრივი და რიგითი რგოლი ამ ხელისუფლებისა, აგრეთვე, მოსამართლე, მთლიანად იყო დამოკიდებული გაბატონებულ რეჟიმზე.

წლებმა თავისი გააკეთა და **„დამოკიდებულობის განწყობა"** მტკიცედ ჩამოყალიბდა მოსამართლეთა შეგნებაში. ასეთი განწყობის შეცვლისათვის, დროა საჭირო, მაგრამ მარტო დროის იმედად ვერ ვიქნებით. აუცილებელი იქნება სამართლებრივი ნორმის შემუშავება, რომელიც დაავალდებულებს მოსამართლეს, დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა. მოსამართლის ეს მოვალეობა უნდა ატარებდეს იურიდიულ ხასიათს, ამიტომ, საჭირო იქნება, მოვიფიქროთ სანქცია მისი შეუსრულებლობისათვის.

ყოველმა მოსამართლემ უნდა შეიგნოს რომ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის არის ბრძოლა მთელი სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის, რომ ამ ბრძოლის წაგება და ვინმეს ზეგავლენაში მოქცევა — მთლიანად ანგრევს მართლმსაჯულების ფუნდამენტურ პრინციპებს: ფაქტობრივად, მოსამართლის სკამს პროცესში იჭერს ის პირი, ვინც თავის ზეგავლენაში მოაქცია ეს მოსამართლე.

— რა საშუალებით ფიქრობთ, მოსამართლეთა მუშაობის დონის ამაღლებას?

— მოსამართლეთა პროფესიული და ზნეობრივი დონის ამაღლება რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა. ჯერ კიდევ პლატონმა შეამჩნია, რომ უმჯობესია გყავდეს კარგი მოსამართლეები და გქონდეს ცუდი კანონები, ვიდრე პირიქით, გყავდეს ცუდი მოსამართლეები და გქონდეს კარგი კანონები.

აღსანიშნავია, რომ არცერთ მოწინავე ქვეყანაში მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად არ კმარა მხოლოდ უმაღლესი იურიდიული განათლება. აუცილებელია პრაქტიკული მუშაობის გარკვეული სტაჟი და დამატებითი სწავლების გავლა, ამისათვის. სპეციალურად შექმნილ სასწავლებლებში. მოკლედ რომ ვთქვათ, მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევასა და მომზადებას ყველგან საგანგებო ყურადღება ექცევა.

ჩვენი პროექტის მიხედვით, სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპი უნდა დაიწყოს მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს შექმნით და იუსტიციის ეროვნული ცენტრის ჩამოყალიბებით.

მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო, რომლის, შემადგენლობაში შევლენ სამართლის დარგის წამყვანი მეცნიერები და იუსტიციის გამოცდილი პრაქტიკოსი მუშაკები, შეარჩევს კონკურსის წესით მოსამართლის კანდიდატებს პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირებისაგან, შეიმუშავებს პროგრამებს, სასწავლო და მეთოდიკურ ლიტერატურას, მიიღებს გამოცდებს და მისცემს დასკვნებს კანდიდატის მოსამართლედ დანიშვნის შესაძლებლობის შესახებ.

მოსამართლეთა კანდიდატების მომზადების მიზნით, უნდა შეიქმნას იუსტიციის ეროვნული ცენტრი, რომელსაც უხელმძღვანელებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი (ანალოგიური სასწავლო ცენტრები არსებობენ, მაგალითად, საფრანგეთსა და იტალიაში), ცხადია, რომ სწავლება იუსტიციის ეროვნულ ცენტრში წარიმართება სამართლის ფუნდამენტურ დარგებში, როგორიცაა სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, ადმინისტრაციული სამართალი, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამართალი, მეწარმეობის სამართლებრივი საფუძვლები.

„მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოსა და მოსამართლეთა კანდიდატების მომზადების მიზნით იუსტიციის ეროვნული ცენტრის შექმნის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი უკვე მომზადებულია და ახლო მომავალში გადაეცემა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს.

ამ კანონის მიღებით უნდა დაიწყოს სასამართლო რეფორმა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება რეფორმის სხვა ეტაპზე, კერძოდ, სასამართლო სისტემის თანდათანობით და გეგმაზომიერ შეცვლაზე გადასვლა.

როგორ ვმართოთ საქართველო?

შეიქმნა რეგიონების მართვის

ახალი სამსახური

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის განკარგულებით, სახელმწიფოს მეთაურის აპარატში შეიქმნა რეგიონების მართვის სამსახური, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ბატონი თემურ ფიფია. ცხადია, ამ სამსახურის მუშაობაზე მნიშვნელოვან წილად იქნება დამოკიდებული იმ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება, რომლებიც უნდა გატარდეს რესპუბლიკის რეგიონებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. რა ამოცანები დაეკისრა ამ ახალ სამსახურს? სწორედ ამ საკითხებზე ესაუბრება ჩვენი კორესპონდენტი გია ჯელიძე ბატონ თემურ ფიფიას.

— ბ-ნო თემურ! რას გვეტყოდით თქვენი სამსახურის ამოცანებისა და ფუნქციების შესახებ?

— მკითხველს ალბათ არ სჭირდება იმის განმარტება, რომ სახელმწიფო წარმოუდგენელია გამართული ადგილობრივი მმართველობის გარეშე. როგორი კარგი კანონებიც უნდა შევქმნათ ჩვენ აქ, ცენტრში, როგორი სიკეთის მომტანი რეფორმებიც უნდა ჩავიფიქროთ, ყველაფერი დარჩება ჰაერში გამოკიდული, თუ ადგილებზე არ იქნება მტკიცე ხელისუფლება, არ შეიქმნება რეალური მექანიზმები, რომლებიც ამ კანონებს განუხრელად განახორციელებს.

კომუნისტური მმართველობის პერიოდში არსებული ადგილობრივი მმართველობა, უნდა ვაღიაროთ, საკმაოდ გამართულად მუშაობდა, ერთპარტიული სისტემა, ერთიანი იდეოლოგია, ტოტალიტარული წყობა თავისი დამთრგუნველი მექანიზმებით ის ბერკეტები იყო, რომელიც ამარაგებდა მაშინ ადგილობრივ მმართველობას. დღეს ეს ბერკეტები, საბედნიეროდ, აღარ არსებობენ, ამიტომ, ცხადია, საჭიროა ახალი სისტემის შემუშავება და დანერგვა, რაც, სამწუხაროდ, ამ სამი წლის მანძილზე არ გაკეთებულა. შედეგად ის მივიღეთ, რომ თითქმის მთლიანად მოიშალა ადგილობრივი მმართველობა, ისინი ძველი ინერციით, სპონტანურად მოქმედებენ. გარკვეული ნაბიჯები, მართალია, გადაიდგა, მაგრამ ერთიანი, მწყობრი სისტემის შექმნისაგან ჯერ შორს ვართ.

აქ, პირველ რიგში, აუცილებელია, მტკიცე საკანონმდებლო ბაზა, ახალ პარლამენტში შექმნილია ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის კომისია, რომელიც მოწოდებულია შეიმუშაოს საკანონმდებლო აქტები ადგილობრივი მმართველობის შესახებ. კომისია ძალზე ენერგიულად შეუდგა მუშაობას, მაგრამ მას უზარმაზარი სამუშაო აქვს შესასრულებელი. უნდა ვთქვათ, რომ ამ მიმართულებით გარკვეული მოსამზადებელი მუშაობა გასწია სამთავრობო კომისიამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. ამ კომისიაში მუშაობისას დავრწმუნდი, რომ რეალურ ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადასვლამდე, საჭიროა, გარკვეული ცენტრალური ორგანო, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ადგილობრივი ორგანოების მუშაობას, მოამზადებს პირობებს თვითმმართველობაზე გადასასვლელად. ასეთი ორგანოდ ჩვენ გვესახებოდა ადგილობრივი მმართველობის სახელმწიფო დეპარტამენტი, რისი ანალოგიც არსებობს დასავლეთის ქვეყნებში. დეპარტამენტის შექმნა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, მაგრამ მიზანშეწონილად ჩაითვალა ოდნავ განსხვავებული ფუნქციებით სახელმწიფოს მეთაურის აპარატში რეგიონების მართვის სამსახურის შექმნა. ამ სამსახურის ძირითადი ამოცანებია: ადგილობრივი და ცენტრალური სახელმწიფო მართვის რაციონალური შეხამების პროგრამების შემუშავება და განხორციელება; ცენტრალური ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი, რომლებიც ეხება ადგილობრივ მმართველობას; ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის მოღვაწეობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი პირობების შექმნა, საშინაო პოლიტიკის პერსპექტიული მიმართულებების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა, რეგიონების განვითარების უთანასწორობის აღმოსაფხვრელად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და გატარება, ეროვნულად არაერთგვაროვან რაიონებში გასატარებელი ეროვნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ადგილობრივი მეურნეობის ფორმირებისა და კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით წინადადებათა შემუშავება, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე წინადადებების მომზადება და სხვ.

ამ ამოცანებიდან გამომდინარეობს ჩვენი სამსახურის ფუნქციები და უფლებამოსილება, რომელიც საკმაოდ დიდი და ფართოა, რასაც ვფიქრობთ, მიზანმიმართულად გამოვიყენებთ საქართველოში ევროპული ტიპის დემოკრატიული ადგილობრივი მმართველობის ჩამოსაყალიბებლად. მართალია, სამსახური მრავალრიცხოვანი არ არის, მაგრამ უკვე შეიკრა საკმაოდ ძლიერი, ამ საქმის ღრმად მცოდნე სპეციალისტებისაგან შემდგარი კოლექტივი, რომელიც მჯერა, შეძლებს ამ ამოცანების შესრულებას. ამასთან, მინდა ვთქვა, რომ სიამოვნებით მივიღებთ ყველა საქმიან წინადადებას და კონსულტაციებს, ვისგანაც უნდა მოდიოდეს ისინი.

ჩვენ უკვე დასახული გვაქვს საკმაოდ საინტერესო გეგმები, მაგრამ, მათზე ამჯერად არ გვინდა ვისაუბროთ.

— ბატონო თემურ! საზოგადოებას ძალზე აინტერესებს, თუ როგორ მოხდება მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ფორმირება.

— თქვენ იცით, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, სახელმწიფოს მეთაურს მიენიჭა უფლება, დანიშნოს რაიონების (ქალაქების) გამგეობის თავმჯდომარეები. ამასთან დაკავშირებით, საჭირო იქნება ზოგიერთი განმარტების გაკეთება. ჯერ კიდევ სახელმწიფო საბჭოში ჩვენმა სამთავრობო კომისიამ მოამზადა და საბჭოს წარუდგინა დებულება ადგილობრივი არჩევნების ჩატარების შესახებ. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნდა ადგილობრივი არჩევნების ჩატარება პარლამენტის არჩევნებამდე. ამ აზრმა სახელმწიფო საბჭოში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და ამას ალბათ, ჰქონდა ობიექტური საფუძველი. მაგრამ დღეს ადგილებზე მყარი ხელისუფლების უქონლობამ უკვე იჩინა თავი. სიმყარეს კი ხელისუფლების მრავალპარტიულობის პირობებში მხოლოდ არჩევნები აძლევს. ამიტომ, ჩვენ საპარლამენტო კომისიასთან ერთად აქტიურად ვმუშაობთ ადგილობრივი არჩევნების მოსამზადებლად, რომელიც უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ივნისში შეიძლება ჩატარდეს, უფრო კი ალბათ, შემოდგომაზე. ადგილობრივი მმართველობის რეფორმის კომისიამ რამდენიმე გზა გამოსცადა გამგებლების შესარჩევად — მათ შორის შეზღუდული ტიპის არჩევნები. ჩვენ ბევრგან საკრებულოს დეპუტატებს, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს და საწარმოდაწესებულებების ხელმძღვანელებს საშუალება მივეცით, ფარული კენჭისყრით. აერჩიათ გამგებელი. სამწუხაროდ, არჩევანი ხშირად, არც თუ საუკეთესო გამოდგა. მიზეზი ისაა, რომ ამ რანგის ელექტორატს ძლიერ გამგებელს სუსტი ურჩევნია, რომელსაც უფრო ადვილად მოახვევს თავის ნება-სურვილს. ამიტომ საბოლოოდ გადაწყდა, უპირატესობა მიგვეცა დანიშვნის მექანიზმისათვის, თუმცა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ იგი დროებითია და იმოქმედებს მხოლოდ ადგილობრივი არჩევნების ჩატარებამდე.

ჩვენს სამსახურს დაევალა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელების კანდიდატურების შერჩევა. უკვე შევიმუშავეთ კანდიდატების შერჩევის მექანიზმი, რომელიც, ჩვენი აზრით, მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტურობის მომენტს და მოგვცემს საშუალებას, რაიონების გამგებლებად მოვიდნენ ადამიანები, რომელთაც აქვთ შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და, რაც მთავარია, მორალური ავტორიტეტი. სახელმწიფოს მეთაურის მითითებით ახლად დანიშნული გამგეობის თავმჯდომარეების ბიოგრაფიები დაიბეჭდება ცენტრალურ პრესაში, რათა ყველამ იცოდეს, თუ ვინ, რა კატეგორიის ადამიანები ინიშნებიან ამ უაღრესად პასუხსაგებ თანამდებობაზე.

— ბ-ნო თემურ! ვის ეძლევა უპირატესობა ამ თანამდებობაზე დანიშვნის დროს?

— პირველ რიგში, გამოცდილ სამეურნეო მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ადამიანებს, რომლებსაც, აქვთ ავტორიტეტი მოსახლეობაში, ერკვევიან საბაზრო ეკონომიკაში და ძალუძთ უმძიმესი ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანონ რაიონები.

— ბ-ნო თემურ! ყველა რაიონში მოხდება თუ არა გამგეობის თავმჯდომარის შეცვლა?

— რასაკვირველია, არა, ბევრ რაიონში საკმაოდ კარგი გამგებლებიც გვყავს, რომლებმაც ამ მძიმე პერიოდში კარგად გაართვეს თავი თავიანთ მოვალეობას. ისინი გააგრძელებენ მუშაობას, თუმცა, მოთხოვნები მათი მუშაობის მიმართ, მკვეთრად გაიზრდება. გამგებლები შეიცვლებიან იქ, სადაც მოშლილია სამეურნეო საქმიანობა, რთულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, გამწვავებულია კრიმინოგენული ვითარება და სადაც გამგებლებს შელახული აქვთ ავტორიტეტი.

— ალბათ ძალიან ძნელი იქნება, ყველასათვის მისაღები კანდიდატურების შერჩევა. ხომ არ დაიწყება თბილისში ავტობუსებით განაწყენებული ხალხის სიარული, როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა?

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე არ მოხდება, ვინაიდან, ჯერ ერთი, ჩვენ რაიონებში აღიარებულ ავტორიტეტებზე ვაიღებთ ორიენტაციას, მეორეც, დროა მოსახლეობამ ისწავლოს თავისი პოლიტიკური ნების ცივილიზებული ფორმებით გამოხატვა — რაიონებში არსებობენ პოლიტიკური პარტიები, არჩეულია დეპუტატი და თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია აქვს გამგებლის მიმართ, მათ უნდა მიმართოს, ჩვენ კი გადაწყვეტილებებს მათთან კონსულტაციებით მივიღებთ. ამდენად, ავტობუსებით თბილისში სიარულს არავითარი აზრი არ ექნება.

— ბატონო თემურ! ბოლო შეკითხვა მინდა დაგისვათ, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ წარმომადგენელს — უკანასკნელ პერიოდში ოპოზიციურ პრესაში ხშირად იბეჭდება წერილები, რომელთა ავტორები ამტკიცებენ, რომ ხდება ეროვნული მოძრაობის დამსახურების უგულებელყოფა და მისი დისკრეტიზაცია. ამასთან ამტკიცებენ, რომ ხდება კომუნისტური რესტავრაცია, რომ პროკომუნისტური ძალები ბრუნდებიან ხელისუფლებაში. რას იტყვით ამის შესახებ?

— ჯერ კიდევ გამსახურდიას ზეობის დროს გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილ წერილში „საუკუნის მისტერია" შევეცადე, განმესხვავებინა ერთმანეთისაგან დისიდენტური მოძრაობა, ხელისუფლებისათვის ბრძოლა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ბატონ გამსახურდიას გარკვეული დამსახურება მიუძღვის ეროვნული მოძრაობის წინაშე და მაშინ ჩვენ მის გვერდით ვიდექით, მაგრამ არავის ისეთი ზიანი არ მიუყენებია ეროვნული მოძრაობისათვის თავისი უგუნურობითა და პოლიტიკური უმეცრებით, როგორც გამსახურდიას. იგი დღესაც ყველაზე ბნელი და საქართველოს ფუნდამენტური მტრების ხელში სათამაშო ტიკინაა და მისი სახელით კვლავ ათას უბედურებას დაატეხენ ჩვენს ქვეყანას. მინდა დავიჯერო, რომ იგი თავისი პოლიტიკური უმეცრების გამო, ვერ ხვდება ამას.

დღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა. იგი გადაიქცა საერთო-ეროვნულ მოძრაობად ქართული სახელმწიფოებრიობის დასამკვიდრებლად. ეროვნულ მოძრაობაში ადრინდელი მონაწილეობა კაპიტალი არ არის, რომ მის ხარჯზე იცხოვრო. იგი უზარმაზარი ვალდებულებაა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ბოლომდე მიიყვანო დაწყებული საქმე და შექმნა დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული, მდიდარი და ბედნიერი ქვეყანა. ნიშანდობლივია, რომ „მრგვალების" კონსტრუქციული და გონიერი ნაწილი ეროვნული მოძრაობის სხვა ძალებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ ახალი ქართული სახელმწიფოს შენებაში. სხვა დანარჩენებს ისტორია სანაგვეზე მოისვრის, ანდა, ერის წინაშე უდიდეს დანაშაულს ჩაადენინებს და ამით „უკვდავყოფს" მათ სახელებს. რაც შეეხება კომუნისტებს, არაერთხელ დამიწერია და მითქვამს მიტინგებზე, რომ ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია ადამიანებისათვის პოლიტიკური იარლიყების მიკერება. ჩვენ ყოველთვის ვებრძოდით სისტემას და არა იმ ადამიანებს, ვინც ამ სისტემაში მუშაობდა. იარლიყების მიწებება ყოველთვის ადვილი, მაგრამ ბინძური გზა იყო ძალაუფლების მოსაპოვებლად და იგი ხელისუფლების მოსაპოვებლად დაქანებულ ეროვნულ მოძრაობის ნაწილში დანერგა ზვიად გამსახურდიამ. ახლა ზოგიერთები იგივეს აკეთებენ „მრგვალი მაგიდის" დროის ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების მიმართ. არადა, ადამიანები უნდა ფასდებოდნენ მხოლოდ მათი უნარისა და შესაძლებლობების მიხედვით.

საქართველოში უბრალოდ სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, რომ ვინმე სერიოზულად ფიქრობს კომუნისტურ რესტავრაციაზე, ვინმეს სერიოზულად სჯერა კომუნისტური იდეოლოგიისა და იბრძოლებს მის დასაცავად. სხვათა შორის, საქართველოში ერთადერთი პუბლიკაცია დაიბეჭდა კომუნისტური მოძღვრების დასაცავად და როგორც უნდა გაგიკვირდეთ, მისი ავტორი „კომუნიზმთან მედგრად მებრძოლი" ხელისუფლების დროს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი მოგვევლინა. მე ეს არ მიკვირს, მაგრამ სადღაც ლოგიკა ხომ უნდა იყოს.

სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, საქართველოში იდეისათვის არ იბრძვიან, აქ მხოლოდ ხელისუფლებისათვის წიწენ ერთმანეთს და ამ ბრძოლაში, ზნეობრივ პრინციპებს მაინცდამაინც არ დაგიდევენ.

ახლა თეზისის სახით ვიტყვი და შემდგომში თუ მოვიცალე, შევეცდები ცალკე წერილში სათანადო არგუმენტებით დავამტკიცო, რომ საქართველოში XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა ზუსტ ანალოგს პოულობს საუკუნის დასაწყისში, სოციალ-დემოკრატიის, განსაკუთრებით მისი ბოლშევიკური ნაწილის ბრძოლასთან თავადაზნაურობის წინააღმდეგ. სხვა მრავალთან ერთად, „მრგვალი ხელისუფლების" ნეობოლშევიკური ხასიათი ამაშიც გამოვლინდა. მომავალი ამას ისევე შეაფასებს, როგორც დღეს ჩვენ ვაფასებთ რეპრესიებს თავადაზნაურობის წინააღმდეგ.

ის, ვინც დღეს ჰგოდებს პროკომუნისტურ გაგებაზე, არაცნობიერად იზიარებს კლასობრივი ბრძოლის პრინციპს და ამდენად, თვითონაა კომუნისტი ამ სიტყვის არსობრივი მნიშვნელობით.

ეროვნულმა მოძრაობამ ძალიან დიდი საქმე გააკეთა იმით, რომ გახსნა ქართული პოლიტიკური ცხოვრების ჰორიზონტი და საშუალება მისცა სრულიად ახალ ძალებს, მოსულიყვნენ პოლიტიკაში. ამ ძალების წინაშე, ე. ი. ეროვნული მოძრაობის წინაშე, დღეს დგას უზენაესი ამოცანა — ახალი ქართული სახელმწიფოს აშენება.

ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ ჩვენი წილი აგური ჩავდოთ ამ სახელმწიფოს მშენებლობაში. ამაში უნდა ჩაებას ყველა — ყოფილი კომუნისტი, „მრგვალი" თუ „ოთხკუთხედი", კონგრესის წევრი თუ უბრალო გლეხკაცი. ამას მოითხოვს დღეს ქართული ისტორიის გონი და ვინც განზე გადაუდგება ამ საქმეს, ერი მას უბრალოდ დაივიწყებს, ხოლო მათ, ვინც ხელს შეუშლის ამ სახელმწიფოს შენებას, საუკუნოდ შეაჩვენებს. ამიტომ, მეტი დაფიქრება მართებთ განზე გამდგართაც და ქვასროლიებსაც...

თემურ ფიფია — დაიბადა 1956 წელს. 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1984 წელს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1980-1987 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლაბორანტად. 1987 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ჯგუფის მეცნიერ-ხელმძღვანელია.

1992 წლის თებერვლიდან ადგილობრივი მმართველობის რეფორმის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარეა, იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, იყო ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის წევრი და კონგრესის მუშაობის კოორდინატორი. საზოგადოება იცნობს პუბლიცისტური წერილებით. ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

მომავალს იმედიანად ვუყურებთ

საბაზრო ეკონომიკამ, დღევანდელმა გართულებულმა ცხოვრებამ ბევრი ძნელად გადასაჭრელი პრობლემა დააყენა საქართველოს მწერალთა კავშირის წინაშე. მისასალმებელია და გასახარელი, რომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ გამონახა ამ პრობლემათა გადაჭრის რეალური გზები. გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის საუბარს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან ბატონ გურამ ფანჯიკიძესთან.



— ბატონო გურამ! სულ ახლახან ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა თქვენი ინტერვიუ მწერალთა კავშირის ბანკის „ნარიყალას" გახსნის თაობაზე. და აი, სულ მალე, უკვე შევიტყვეთ პირველი სასიხარულო შედეგები. იქნებ ჩვენს მკითხველებს თვითონ მოუთხროთ თქვენი პირველი ნაბიჯების შესახებ?

გურამ ფანჯიკიძე — საბაზრო ეკონომიკამ ყველაზე ცუდ დღეში მწერალთა კავშირი ჩააყენა. ბუნებრივია, ძალზე უჭირს ყველა შემოქმედებით კავშირს, მაგრამ მწერალთა კავშირი განსაკუთრებით ცუდ დღეშია, ვინაიდან მწერალი თავიდან ბოლომდე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოზე", ლიტერატურულ ჟურნალებსა და გამომცემლობებზე არის დამოკიდებული.

საქმეში ჩახედულმა მკითხველმა იცის, რომ წიგნი თითქმის აღარ გამოდის. იმდენად დიდია პოლიგრაფიული მასალების ღირებულება, პოლიგრაფიული ხარჯები და საექსპედიციო თანხა, რომ წიგნის გამოცემის საქმე აშკარა კატასტროფის წინაშე დადგა.

რით უნდა იარსებოს მწერალმა და, საერთოდ, მწერლობამ?

მთავრობის შემყურე ვერ ვიქნებით. იძულებულნი ვართ, თვითონვე გამოვნახოთ გადარჩენის გზები. გადავდგით რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი. მე მხოლოდ ერთ მათგანზე გესაუბრებით. ესაა ჩვენი ბანკი „ნარიყალა", რომლის დაარსების თაობაზე რამდენიმე ხნის წინ ვაცნობეთ ფართო საზოგადოებრიობას. დღეს კი უკვე პირველ შედეგებზე გეტყვით ორიოდე სიტყვას. ვსარგებლობ შემთხვევით და ქართველი მწერლობის სახელით მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ბატონ დემურ დვალიშვილს, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ჩვენს ბანკს, თვითონვე ღონივრად დაეწყო მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება ასე გაძვირდა, ჟურნალ-გაზეთების ჰონორარები თითქმის იგივე დარჩა. მაგალითად, ჟურნალ „მნათობის" ერთი ნომრის ჰონორარია მხოლოდ 8 ათასი მანეთი. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოსი" კი 10 ათასი მანეთი.

წლევანდელი პირველი ნომრებიდანვე მწერალთა კავშირი საგრძნობლად ზრდის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების ჰონორარებს, კერძოდ, „ლიტერატურულ საქართველოს" ყოველ ნომერზე დაემატება 25 ათასი მანეთი, „მნათობს" — 40 ათასი მანეთი, „ცისკარს" და „განთიადს" (ჰქონდათ 7-7 ათასი) — 30-30 ათასი მანეთი, „საუნჯეს" 25 ათასი. „ლიტერატურნაია გრუზიას" 15 ათასი მანეთი. მნიშვნელოვნად გაიზრდება ჰონორარი „ნობათს" და იუმორისტულ ჟურნალ „ღიმილს", ეს კი წლიურად შეადგენს დაახლოებით 3 მილიონ მანეთს. თან უნდა დავსძინო, რომ მესამე კვარტლიდან გვექნება რეალური საშუალება, კიდევ გავზარდოთ ჰონორარები.

დავაარსეთ აკაკი წერეთლის სახელობის ორი პრემია — თითოეული 100 ათასი მანეთის რაოდენობით. მინიჭება მოხდება წელსვე გასულ წელს გამოქვეყნებული საუკეთესო ნაწარმოებებისათვის. მნიშვნელოვნად გაიზრდება მწერალთა კავშირის წლიური და ახალგაზრდული პრემიების რაოდენობაც და თანხაც.

მისასალმებელი და გასახარელია

წელსვე საშუალება გვექნება, 20-25 მილიონი მანეთი გამოვყოთ ქაღალდისა და სხვა პოლიგრაფიული მასალების შესაძენად. ოც მილიონ მანეთს კი გამოვყოფთ მწერალთა დახმარების ფონდისა და სხვადასხვა ხარჯებისათვის.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ცუდ დღეშია მწერალთა კავშირის მთარგმნელობითი ცენტრი, პოლიკლინიკა, ქვიშხეთის დასასვენებელი სახლი. ერთი სიტყვით, სულის მოთქმის საშუალება არა გვაქვს. თუმცა იმასაც დავძენ, რომ მომავალს იმედიანად ვუყურებთ.

ჩამოდის ელჩი

29 იანვარს თბილისში ჩამოდის დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკაში ბრაიან ფოლი. მისი ჩამოსვლის მიზანი ის არის, რომ გაეცნოს საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს, ეკონომიკის მდგომარეობას.

ელჩის ვიზიტის პროგრამაშია შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან თენგიზ სიგუასთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ალექსანდრე ჩიკვაიძესთან.

სიმართლე ასეთია!

„ომი მალე უნდა დამთავრდეს"

— ომი უნდა დამთავრდეს და არა შეწყდეს. უნდა დამთავრდეს რაც შეიძლება მალე და, რა თქმა უნდა, ჩვენი გამარჯვებით, აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, — ასე დაიწყო ჩემთან საუბარი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა, რომელიც თბილისში ჩამოსული, სასაუბროდ დავიმარტოხელე.

— **სამხედრო** გამარჯვებას უნდა მივაღწიოთ, მაგრამ რუსეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლობა არ იქნება, რადგან იგი რეალური და ძლიერია. ტყვარჩელთან შედარებით, მეტ სირთულეებს გაგრის მიმართულებით ვხედავ, რადგან იქ და სოხუმის ლაბორატორიაშიც დღესაც დგას რუსეთის სამხედრო ნაწილები. სოხუმში არის მათი სადესანტო ბატალიონი და, რა თქმა უნდა, გუდაუთაშიც, სადაც განლაგებულია როგორც სადესანტო ბატალიონი, ასევე რუსების დიდი სამხედრო შენაერთი. დღეს იქ რომ სამხედრო ოპერაციები განვახორციელოთ, რა თქმა უნდა, შევეჯახებით რუსეთის საჯარისო ფორმირებებს, ეს კი ჩვენთვის წამგებიანი პოზიციაა, რადგან კარგად ვიცით და ვიცნობთ რუსეთის შეიარაღებას, იქ მდგარ ძლიერ შეიარაღებულ ქვეგანაყოფებს.

საქართველოდან და, უპირველესად, აფხაზეთიდან რუსეთის ყველა საჯარისო ფორმირება უნდა გავიდეს. დარჩეს მხოლოდ სასაზღვრო ჯარი, რომელიც დღეს საზღვარს იცავს. ამ ეტაპზე, დარჩეს აგრეთვე სარაკეტო დივიზიონიც, რომელიც საჰაერო სივრცეს იცავს. ყველა დანარჩენი სამხედრო ქვეგანაყოფი უნდა გავიდეს.

რაც შეეხება ჩვენი ჯარის გაყვანას, რასაც აფხაზი მხარე მოითხოვს და რუსებიც უჭერენ მხარს, ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ ჩვენი ტერიტორიიდან ჯარს ვერ გავიყვანთ.

— ახლა ბევრს ლაპარაკობენ ქართული ჯარის აფხაზეთში შეყვანაზე, კამათობენ სწორი იყო თუ არა ეს გადაწყვეტილება.

— საკითხის ასე დასმა არ შეიძლება. ჯარი იქ არ შესულა. ჯარმა მხოლოდ და მხოლოდ დისლოკაციის ადგილი შეიცვალა, საქართველოს ერთი კუთხიდან გადავიდა მეორე კუთხეში და ეს, აბსოლუტურად, არავის საქმე არ არის. ეს არის საქართველოს მთავარსარდლის, სახელმწიფოს მეთაურისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრეროგატივა. ამიტომაც მიმაჩნია, ეს საკითხი არც უნდა განვიხილოთ. ქართული ჯარის იურისდიქცია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ვრცელდება. მაგალითად, სოხუმში შექმნილია თავდაცვის სამინისტროს მესამე ბრიგადა, რომელშიც აფხაზეთში მცხოვრები ყველა ქართველი მსახურობს, ისინი წინა ხაზზე დგანან და თავიანთ სამშობლოს იცავენ. რატომ უნდა გავიდნენ იქიდან? გავიდეს კი არა, მომავალში, როცა ომი დამთავრდება, აფხაზეთის ბატალიონი იქნება თუ სხვა სამხედრო შეიარაღების გარკვეული ნაწილი, სამუდამოდ დარჩება იქ დისლოცირებული.

— ბატონო თამაზ, დღეს შეუძლია ჩვენს ჯარს, ჩვენი შეიარაღებით, ამ კონფლიქტის გადაწყვეტა?

— რუსეთის ფაქტორი რომ არა კარგა ხანია შეგვეძლო. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, თუ რუსეთის ჯარი გავიდა, ის კი უნდა გავიდეს, ან რუსეთმა დაიკავა ის ნეიტრალიტეტი, რაც გათვალისწინებულია 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის ხელშეკრულებით, მაშინ აფხაზეთის პრობლემა მოიხსნება. ყოველივე ეს კი სამთავრობო დონეზე უნდა გადაწყდეს.

— ტყვარჩელისა და ოჩამჩირის მიმართულებით რატომღაც არ ხერხდება წარმატების მიღწევა, იქაც ხომ რუსეთის ფაქტორი არ ფიგურირებს?

— ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენი ჯარი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დახვეწილი. არა გვაქვს ის დისციპლინა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ჯარში. დღეს ერთ შენაერთში არ არის ყველა სამხედრო ფორმირება, თითოეული მეთაური თვითონ ცდილობს მიაღწიოს გამარჯვებას, თუ წინსვლას. თუმცა არის გარკვეული ძვრები და დღევანდელ ჯარს ვერ შევადარებ შარშანდელი აგვისტო-სექტემბრის ჯარს. განსაკუთრებით აღვნიშნავ ბატონ გია ყარყარაშვილის შენაერთს, სადაც დისციპლინაც არის და სამხედრო სულიც იგრძნობა. სამწუხაროდ, ყველგან ასე არ არის, ალბათ, საჭიროა შემუშავდეს ერთიანი გეგმაც. ამიტომ თუ კომპლექსში განვიხილავთ ამ საკითხებს, გავითვალისწინებთ დაშვებულ ხარვეზებს, შეცდომებს, უდაოდ მივაღწევთ წინსვლას, გამარჯვებას და აღვადგენთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

— ალბათ, თქვენც გახსოვთ ასეთი ფრაზა, გაგრა გაყიდული იყო, გაყიდულია სოხუმიც...

— სამწუხაროდ, გამიგონია და ხშირადაც მესმის. მე თვითონ გაგრელი ვარ და გაგრაში ვიყავი წინა დღეებშიც, ვიდრე ეს ტრაგედია მოხდებოდა. მე არ შემიძლია ვთქვა, რომ გაგრა გაყიდული იყო. ჩემს თავში ვერ თავსდება ის აზრი, რომ ქართველ კაცს ვიღაცასთან გარიგებით შეეძლო გაეყიდა ქალაქი, შეეწირა ამდენი მსხვერპლი, ასეთ კაცს ამ ქვეყნად ცხოვრების უფლებაც არ აქვს. ამიტომ ამას არც ვუშვებ, მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია ის, რომ იყო დიდი უდისციპლინობა, თითქმის ყველა სამხედრო ფორმირებაში იყო ერთმანეთში დაპირისპირება და, რაც მთავარია, დიდი პანიკა. აქედან გამომდინარე ჩვენმა საჯარისო ფორმირებებმა დათმეს ქალაქი. დღესაც მესმის, გაყიდულია სოხუმი, ღალატია. ვერ დავიჯერებ. ყველამ უნდა გაიგოს, რომ დღეს ომია, როგორც სოხუმში ისე თბილისში. საქართველოს ყველა კუთხეში უნდა გავითავისოთ ეს ომი, რადგან იგი არ არის ომი მარტო აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისათვის, იგი სამამულო ომია და ყველას ერთნაირად გვეხება (სამწუხაროდ, ბევრგან ეს არ იგრძნობა), ყველამ როგორც შეგვიძლია, ისე უნდა დავიცვათ ჩვენი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. თუმცა სხვებს რა უნდა ვუსაყვედურო, როცა თბილისშიც ბევრს ვხედავ აფხაზეთიდან ლტოლვილ ჯანღონით აღსავსე მამაკაცებს. მესმის, რომ კაცს სახლკარი დაუწვეს. მეც დამიწვეს და მეც ლტოლვილი ვარ, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს აქ დავჯდე და ველოდო ვინ, როდის გამითავისუფლებს ჩემს ქალაქს, რომ მერე დავბრუნდე? პირიქით, ჩამოვიდნენ? დააბინავეს ცოლ-შვილი? ახლა დროა დაბრუნდნენ. სავალდებულო არ არის ყველამ იარაღი დაიჭიროს ხელში, იქ ყველასათვის მოიძებნება სამუშაო.

და კიდევ. მე ხშირად მიწევს თვითმფრინავით მგზავრობა სოხუმსა და თბილისს შორის. ხშირად ძნელია გამოფრენა. იმდენი შეიარაღებული პირი მოდის თბილისში, თვითმფრინავში ტევა არ არის.

მესმის, იმ ბიჭებს, ვინც იქ იბრძვის, შეცვლა, დასვენება სჭირდებათ, მაგრამ იარაღით, რატომ მოდიან? როცა წავაწყდები, შენიშვნას ვაძლევ. ეს, რა თქმა უნდა, საქმეს არ შველის. ვფიქრობ, აეროპორტებში, ალბათ, ამ საკითხისადმი მკაცრი კონტროლის დაწესებაა საჭირო. ვინ არიან, სად მიდიან, რატომ და ა. შ. თორემ მოდიან ავტომატით, ტვიამფრქვევით, გრანატმტყორცნით, ტყვია-წამლით... ახალ წელს თბილისში არ ვყოფილვარ, მითხრეს, წარმოუდგენელი სროლა იყო, ლამის თბილისი აფეთქდაო. 13 იანვარს კი ღამით ამაში თვითონ დავრწმუნდი. თბილისში უამრავი იარაღია. თუ ომის მოგება გვინდა, ყველაფერი ომს უნდა მოვახმაროთ: ძალაც, ღონეც და იარაღიც...

— ბატონო თამაზ! ომი თითქოს უნდა შეწყდეს პოლიტიკური მოლაპარაკების გზით და ამ იმედით კარგა ხანია ვართ.

— სესიაზე არაერთხელ განმიცხადებია და ახლაც ვიმეორებ, ჩემს პოზიციაზე ვდგავარ, იმ პოზიციაზე, რაზეც ომის დაწყებიდანვე ვიდექი. დღეს აფხაზ სეპარატისტებთან ამ კონფლიქტის, ამ ომის მოგება მხოლოდ ძალით შეიძლება. არავის ეგონოს, რომ არსებობს რაიმე პოლიტიკური გზა — მოლაპარაკების გზა, რის შედეგად დამყარდება მშვიდობა. ეს გამორიცხულია, ცალსახად უნდა გაიგოს ყველამ, მშვიდობის დამყარება აფხაზეთის რეგიონში დღეს მხოლოდ სამხედრო ძალით შეიძლება.

— თქვენ ბრძანეთ, რომ ომი, რაც შეიძლება მალე უნდა დამთავრდეს.

— დიახ, რაც შეიძლება უმოკლეს დროში, გაჭიანურება არ შეიძლება. აუცილებლად უნდა მოვნახოთ გზები. ომი უნდა დამთავრდეს ჩვენი სამხედრო ძალით, ჩვენი ჯარით, ჩვენი სამხედრო შენაერთებით. აღვადგინოთ საქართველოს იურისდიქცია მთელს საქართველოს ტერიტორიაზე და, რაც მთავარია, საზღვარზე. იქ აფხაზ სეპარატისტთა დროშა უნდა ჩამოიხსნას და ქართული სახელმწიფო დროშა აფრიალდეს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გენოციდი მოვუწყოთ აფხაზებს, ისე, როგორც აფხაზმა სეპარატისტებმა მოგვიწყეს ჩვენ.

გენოციდი იყო ყოველივე ის, რაც მოხდა, ჩემს სიტყვებზე პასუხისმგებელი ვარ, და, როცა ჩავალთ გაგრასა და გუდაუთაში, დღეს იქნება თუ ხვალ, ამაში ყველა დარწმუნდება. ამავე დროს, არაფერი არ უნდა გადაწყდეს ქართველი კაცის ხარჯზე, როგორც ეს ხდებოდა ადრე, არც აფხაზი კაცის ხარჯზე. უნდა გადაწყდეს ისე როგორც დემოკრატიულ, ცივილიზებულ ქვეყნებში წყდება ამგვარი საკითხები.

და ბოლოს.

საქინფორმის კორესპონდენტ — იური გოლდმანთან საუბარში ბატონმა თამაზ ნადარეიშვილმა თქვა:

— აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებული საკითხების წერის დროს ჟურნალისტებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ. ამის თქმის საფუძველს თუნდაც ის მაძლევს, რომ ადლერის ავიასაწარმოს კუთვნილი ვერტმფრენი, რომელიც თებერდა-ტყვარჩელის რეისს საქართველოს მხარესთან შეუთანხმებლად ასრულებდა, „თბორაკეტით" არვის ჩამოუგდია, როგორც ამას ზოგიერთი „ობიექტური" ჟურნალისტი წერს. თუმცა, როგორც გამოძიება ცხადყოფს, ვერტმფრენმა დაარღვია ფრენის მარშრუტი და საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

პილოტი თავის ახსნა-განმარტებაში ამტკიცებს, რომ გატყდა ძრავა და არავითარი ჭურვი ვერტმფრენს არ მოხვედრია. ვერტმფრენი იძულებით დაჯდა ოჩამჩირის რაიონში. შიგ მსხდომი ჟურნალისტების მიერ გადაღებულ ვიდეოფირებზე კი (რომელიც აფხაზეთის პროკურატურამ ვერტმფრენის დაჯდომის ადგილის დათვალიერებისას აღმოაჩინა) ნათლად ჩანს საჰაერო მანქანის შეზანზარება და დაშვება.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რა ბედი ეწია ვერტმფრენში მყოფ აფხაზეთის ტელერადიომაუწყებლობის კომპანიის ტელეჟურნალისტებს, ამირან განგიას, სლავიკ ხაკონიას, ახრა აკაბასა და უკრაინელ ვლადიმერ პერსიანინოვს, ბატონმა თამაზმა უპასუხა:

— არ არის სწორი, რომ თითქოს მძევლებად აიყვანეს და სოხუმში ჩაიყვანეს. არ ვიცით სადაა ამჟამად უკრაინელი ჟურნალისტი, რომელიც შემთხვევიდან რამდენიმე საათის შემდეგ თავისუფალი იყო, მაგრამ რაც შეეხება აფხაზ ჟურნალისტებს, ისინი გულრიფშში არიან და, ალბათ, ყველამ ნახა 26 იანვარს საქართველოს ტელევიზიით ქართველ კოლეგებთან ერთად როგორ სვამდნენ სოფელ ბაღმარანის მცხოვრების ხაგუშის ოჯახში მეგობრობის, ომის რაც შეიძლება მალე დამთავრების სადღეგრძელოს.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

შეხვედრები ა. რუცკოისთან და ვ. ჩერნომირდინთან

რუსეთში ოთხდღიან ვიზიტად მყოფი ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი, რომელიც რუსეთის თავდაცვის მინისტრის არმიის გენერლის პავლე გრაჩოვის მიპატიჟებით მოსკოვში იმყოფება, დღეს ხვდება რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ალექსანდრე რუცკოის. გენერალი ჯონ შალიკაშვილი შეხვდება აგრეთვე რუსეთის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ ჩერნომირდინს. დღეს იგი გამოვა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში. გუშინ შეხვდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს მარშალ ევგენი შაპოშნიკოვს. გენერალი ეწვევა სანქტ-პეტერბურგის სამხედრო-საზღვაო ბაზას. დაგეგმილია ნატოს უმაღლესი მთავარსარდლის შეხვედრები თანამეგობრობის სამხედრო წარმომადგენლებთან. როგორც „თავისუფლების" ცნობით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროში განიხილავენ ნატოს სახელმწიფოებსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საკითხებს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

ფორუმი ყაზახეთის დედაქალაქში

ალმა-ათაში გაიმართა მრეწველთა და მეწარმეთა საერთაშორისო კონგრესის ასამბლეა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქმიანი ადამიანები 26 ქვეყნიდან — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან, ბალტიიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან. მიიღეს გადაწყვეტილებები, რომლებიც ითვალისწინებენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დანგრეული სამეურნეო კავშირების აღდგენას. ძირითადი მოხსენებით ასამბლეაზე გამოვიდა რუსეთის მრეწველებისა და მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარე არკადი ვოლსკი. მან აღნიშნა, რომ თანამეგობრობის ეკონომიკაში კრიზისული მოვლენები იზრდება. ამასთან დაკავშირებით მრეწველთა და მეწარმეთა საერთაშორისო კონგრესის წევრებმა დასახეს ღონისძიებები, რათა თავიდან აიცილონ წარმოების შემდგომი დაცემა და წაახალისონ საინვესტიციო აქტიურობა ინდუსტრიის სფეროში.

ირანის პრეზიდენტის განცხადება

ირანის პრეზიდენტი ჰაშემი-რაფსანჯანი თეირანში შეხვდა რუსეთის ფედერაციის ელჩს ირანში გუდაევს და აღნიშნა რუსეთ-ირანის მეგობრული კავშირების დამყარების დიდი მნიშვნელობა. გამოთქვა რა კმაყოფილება ორმხრივი ურთიერთობის განვითარებით. მან განაცხადა, რომ სპარსეთის ყურის სახელმწიფოთა მეგობრობა რუსეთთან აუცილებელია დედამიწის ამ რაიონში მშვიდობისა და სიმშვიდის უზრუნველსაყოფად.

ამომრჩეველთა განწყობილება

რუსეთში ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის მორიგმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ამომრჩევლები ნაკლებად ენდობიან სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტებს. ამომრჩეველთა 80 პროცენტმა გამოკითხვის მსვლელობაში განაცხადა, რომ უკვე არ ენდობიან არც პრეზიდენტს, არც მთავრობას, არც პარლამენტს. გამოკითხვა მოეწყო მალევე მას შემდეგ, რაც ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები გამოვიდნენ მორიგი განცხადებებით იმის შესახებ, რომ ქვეყანაში ყველაფერი აუცილებელი კეთდება ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად, ინფლაციისა და ფასების ზრდის ასალაგმავად. გამოკითხულთა დარჩენილი ნაწილის ყველაზე მეტი მხარდაჭერა რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მოიპოვა, მთავრობასა და პარლამენტს მხარს უჭერს ამომრჩეველთა ექვსი-შვიდი პროცენტი.

ქალაქების ალიანსი

რუსეთისა და ყაზახეთის 88 ქალაქი ქალაქების კავშირის ასოციაციად გაერთიანდა. ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია ყაზახეთის ქალაქ პეტროპავლოვსკში გაიმართა. ქალაქების კავშირმა გადაწყვიტა გააერთიანოს მათი უმდიდრესი შესაძლებლობა ნედლეულისა და საქონლის საწარმოებლად, ხელი შეუწყოს საქონელგაცვლას, შექმნას ერთიანი საბანკო სისტემა. ასოციაციის მონაწილეებმა მიმართეს რუსეთისა და ყაზახეთის პრეზიდენტებს, პარლამენტარებს და მთავრობებს წინადადებით დააკანონონ ქალაქების უფლება შევიდნენ სხვა საერთაშორისო ასოციაციებში საბაჟო ბარიერების გაუქმების ევროპის ქარტიის შესაბამისად.

ღია წერილი კლინტონსა და კონგრესს

ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა, ჯერალდ ფორდმა და რონალდ რეიგანმა ადმინისტრაციის ახლანდელ მეთაურს ბილ კლინტონსა და ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს დაჟინებით მოუწოდეს სასწრაფოდ ჩაერიონ ბოსნია-ჰერცეგოვინის კონფლიქტში და ბოლო მოუღონ გენოციდს ბოსნიელი ხალხის მიმართ.

ოთხშაბათს გაგზავნილ ღია წერილში აღნიშნული იყო, რომ ყოფილი იუგოსლავიის ამ რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაცია „მოგვაგონებს იმას, რაც ხდებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა გერმანიის ნაცისტური პოლიტიკის შედეგად სპობდნენ ხალხებს, როცა ერთი სუვერენული სახელმწიფო იტაცებდა მეორის ტერიტორიას", რომ „ბოსნია-ჰერცეგოვინაში სპობენ ხალხს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მშვიდობიანად და შემწყნარებლურად ცხოვრობდა თავის მეზობლებთან". „სისხლისღვრა შეიძლება და უნდა შეწყდეს კიდეც, აღნიშნულია დოკუმენტში. — თუ ეს არ მოხდა, ტრაგედია გავრცელდება ბოსნია-ჰერცეგოვინის ფარგლებს გარეთ. ბოსნიელ ლტოლვილებს უნდა გავუწიოთ ყოველგვარი მხარდაჭერა, თორემ, კიდევ დაიღუპება უამრავი ხალხი".

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

მარჯვენას დაულოცავენ

[illegible] ბიწაძე

ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქართულ საშუალო სკოლას წელს დაარსებიდან 100 წლისთავი უსრულდება. ამ ხნის მანძილზე მის კედლებში ბევრი შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე აღიზარდა. მნიშვნელოვან თარიღს სკოლა განახლებულ შენობაში აღნიშნავს. მოსწავლეები მერხებს მიუსხდნენ ვრცელ და ნათელ ოთახებში. ასეთი სასიხარულო ფაქტებით კარგა ხანია აღარ ვართ განებივრებული.

სკოლას მიაშენეს 38 საკლასო ოთახი და კაბინეტ-ლაბორატორია, კვების ბლოკი, მოეწყო სპორტული მოედნები, დაიდგა საკუთარი ტრანსფორმატორი და შენობა უზრუნველყოფილია ორმაგი ელექტროკვებით.

სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე 14 მილიონი მანეთი დაიხარჯა. თანხა ერთობლივად გაიღეს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ და ადგილობრივმა გამგეობამ. ამ უკანასკნელმა იგი ადგილობრივი ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლების სახსრებიდან გამოჰყო. ფაქტობრივად აშენდა სრულიად ახალი სასკოლო კომპლექსი, რომელიც უფრო დიდ ქალაქშიც მოიწონებდა თავს.

ბოლნისელები მარჯვენას უქებენ და ლოცავენ ადგილობრივი „სოფლმშენკომპლექსის" მშენებლებს, მათ თავკაცს, ფასანიშნავ ორგანიზატორსა და ინჟინერ-მშენებელ თემურ წერეთელს.

მტკიცდება პარტნიორობა

● **თეთრი** აბრეშუმის გზა, რომელიც ოდითგანვე საქართველოზე გადიოდა, კვლავ გამოცოცხლდება. საგარეო-ეკონომიკურმა გაერთიანება „საქაგროიმპექსმა" ხელი მოაწერა აბრეშუმის ჭიის გრენის მიწოდებაზე თურქეთის ფირმა „კრისტალ-ლდტ"-სთან. მოგების თანხა, რომელსაც საქართველოს მხარე ელის პროდუქციის რეალიზაციის შედეგად, მილიონი დოლარი იქნება. გრენის მიწოდება მიმდინარეობს არა მარტო ყოფილი კავშირის რესპუბლიკებში, არამედ საზღვარგარეთაც.

● **ხალხური** სარეწების რესპუბლიკური გაერთიანება „სოლანის" ნაწარმით დაინტერესდა ჰოლანდიური ფირმა „შელ-დერინგ აბი". მისმა დირექტორმა მათეუს დანსტრომ სიღნაღის რაიონის ოსტატთა ხალიჩების სანაცვლოდ შალის ძაფის გამოგზავნა იკისრა. „სოლანის" ხელმძღვანელობის აზრით, ამგვარი გაცვლა კრიზისიდან გამოიყვანს ხალიჩების დამზადების ძველი ქართული ხელოვნების ოსტატებს, აგრეთვე მთლიანად გაერთიანებას უზრუნველყოფს ვალუტის საკმაო მოგებით.

„მიზერიკორდია" — ჩვენი მეგობარი

იტალიის გულმოწყალების საზოგადოების „მიზერიკორდიას" მიწვევით ფლორენციაში იმყოფებოდა საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის პრეზიდენტი, აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი. მან მონაწილეობა მიიღო ფლორენციაში გამართული საქველმოქმედო ორგანიზაციების საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში. აქ ევროპის ქვეყნების გარდა მონაწილეობდნენ ბრაზილიის საქველმოქმედო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ფლორენციაში გამართულ საქველმოქმედო ორგანიზაციების ევროპული კავშირის დამფუძნებელი კონფერენციის სხდომაზე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი აირჩიეს ამ კომიტეტის წევრად.

— **ბატონო სიმონ, რას გვეტყვით „მიზერიკორდიასთან" ჩვენი საქველმოქმედო ფონდის ურთიერთობის თაობაზე, რა დახმარებას ველით მათგან?** — ვკითხეთ იტალიიდან დაბრუნებულს.

— მოგეხსენებათ, მართლმადიდებელი ეკლესიის თაოსნობით საქართველოში გულმოწყალება მრავალი საუკუნის მანძილზე ხორციელდებოდა, მაგრამ ამ დიდ და ჩვენი ერისათვის უაღრესად სასარგებლო მოღვაწეობას არ მიუღია ნაციონალური გაერთიანების სტატუსი, როგორც ეს 750 წლის წინათ იტალიაში, და ცოტა უფრო მოგვიანებით პორტუგალიაში მოხდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი, რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე მოისპო ყველა საქველმოქმედო ორგანიზაცია და მათი ფუნქცია სახელმწიფოს გადაეცა. მხოლოდ საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ წელს ნებადართული იყო საქველმოქმედო ორგანიზაცია გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის სახით. საქართველოში ეროვნული მოძრაობის გამარჯვების შემდეგ ჩვენმა ფონდმა მიიღო დამოუკიდებელი რესპუბლიკური ორგანიზაციის სტატუსი და მალე დამყარდა ჩვენი პირველი საერთაშორისო კონტაქტი იტალიის „მიზერიკორდიასთან". ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ჩვენი ქვეყნისადმი დახმარების თაობაზე. დახმარების ერთი პროექტი ითვალისწინებს ჩვენთვის უსასყიდლოდ იმ აპარატურის გადმოცემას, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ინვალიდების რეაბილიტაციისათვის გამოიყენება. მეორე პროექტი იმაში მდგომარეობს, რომ ქართველი ქალების ჯგუფი უნდა მივავლინოთ იტალიაში, სადაც შეისწავლიან მძიმე ავადმყოფებისა და ინვალიდების მოვლას და ამასთანავე დაეუფლებიან იტალიურ ენას, შემდგომ ეტაპზე ამ პროექტის განხორციელება გააადვილებს ქართველი ავადმყოფებისა და ინვალიდების იტალიაში მივლინებას. ამ პროექტის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საპატრიარქო, პირადად უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. რასაკვირველია, დღევანდელ მძიმე ეკონომიკურ პირობებში ძნელია ამ პროექტის განხორციელება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მათ რეალიზაციას ხელს შეუწყობს საქართველოს საპატრიარქოს დახმარება და საქველმოქმედო ევროპული გაერთიანების ჩამოყალიბება.

ხიდები

— **კიდევ რით იყო მნიშვნელოვანი თქვენი იტალიაში მიწვევა?**

— იტალიაში ყოფნის უკანასკნელ დღეს, ვატიკანში მიგვიღო რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ, რომელიც ქველმოქმედებისადმი დიდ ინტერესს იჩენს. მან მოკითხვა დამაბარა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქთან.

უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა იტალიისა და პორტუგალიის გულმოწყალების ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში და მათი შემდგომი მუშაობის წარმართვაში დიდი მონაწილეობა მიიღო კათოლიკურმა ეკლესიამ, ამჟამად ის არ ცდილობს რაიმე პრიორიტეტი მოიპოვოს ევროპულ გაერთიანებაში. საერთაშორისო კონფერენციის ერთ-ერთ სხდომაზე სიტყვა მიეცა ბოსნიელ მუსლიმანს, რომელმაც ილაპარაკა გულმოწყალებისადმი თავისი ისლამური რელიგიის დიდი ინტერესის შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ საკითხის ასეთი დაყენება ხელს შეუწყობს მეტი ქვეყნების მონაწილეობას ევროპულ გაერთიანებაში, რაც ვფიქრობ, მშვიდობის საწინდარია.

ესაუბრა

ლარისა ხუბულური

პურის გემო დაავიწყდათ...

ორი თვეა, ჭიათურაში არ ცხვება პური, სოფელში კი, როგორც იტყვიან, პურის გემო დაავიწყდათ. არ არის ელექტროდენი და, ცხადია, არ მუშაობენ ელექტროწისქვილები. გამგეობის მიერ იანვარში ქალაქის მოსახლეობაზე განაწილებულმა 188 ტონა პურის ფქვილმა, საიდანაც თითოეულს მხოლოდ 4 კილოგრამი ერგო, მინიმალურადაც ვერ უზრუნველყო ჭიათურელები და მათთან შეხიზნული ლტოლვილები.

სამაგიეროდ, ხელ-ფეხი გაეხსნათ სპეკულანტებს: 1 კილოგრამი პურის ფქვილში ისინი თანაქალაქელებს 150 მანეთს სძალავენ. სიმინდის ფქვილის ფასმა კი საკოლმეურნეო ბაზარში 180 მანეთს მიაღწია.

სოზარ კუპატაძე.

ეს ჩვენი საქართველოა!

კონკურსი

ლიკა ნადარეიშვილი —„მის თბილისი-93"

ეს ქალიშვილები ორი დღის განმავლობაში თბილისის სპორტის სასახლესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კულტურის სასახლეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სანუკვარი წოდებისათვის „მის თბილისი-93".

ბევრი იყო მღელვარე წუთი, სიხარულის ცრემლი და მწუხარება! სტარტზე გამოვიდა 34 თბილისელი გოგონა. ფინალში დარჩა მხოლოდ 9.

პრეტენდენტებმა, რომელთა ასაკი 16-დან 22 წლამდეა, უჩვენეს არა მარტო თავიანთი გრაცია, სინატიფე და სილამაზე, არამედ მუსიკის ცოდნა, მანეკენის მოხდენილობა, ერუდიცია...

და, აი, კომპეტენტური ჟიურის აზრი: „მის თბილისი-93"-ის წოდება და საგზური პარიზში მოიპოვა ლიკა ნადარეიშვილმა! პირველი ადგილი მიენიჭა ნინო შავგულიძეს, მეორე — ნათელა ოთარაშვილსა და მესამე თამარ მახარაძეს.

ამ ჩვენს მძიმე, გაჭირვებულ დროს ეს მუსიკალური კონკურსი-ფეიერვერკი მოაწყო ფირმა „ინტერსერვისმა", გენერალური სპონსორია კონცერნი „გეიკო".

* * *

სურათებზე: ლიკა ნადარეიშვილი — „მის თბილისი-93"; კონკურსში გამარჯვებულები: ნინო შავგულიძე, ნათელა ოთარაშვილი და თამარ მახარაძე; კონკურსის პროგრამა რესპუბლიკის საუკეთესო ანსამბლების თანხლებით მიმდინარეობდა.

ბონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გამოძიება მიმდინარეობს

საზოგადოებამ იცის, რომ 21 იანვარს თბილისში, უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა მოაწყეს თავდასხმა რუსეთის სასაზღვრო ჯარების სამხედრო ნაწილზე. რესპუბლიკის მთავარ სამხედრო პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. შექმნილია საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარი სამხედრო პროკურორი ალექსანდრე შუშანაშვილი. მან თქვა: — **გამოძიება აქტიურად მიმდინარეობს, არის რეალური მონაცემები დანაშაულის სრული გახსნისათვის, მაგრამ ამჟამად, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, თავს ვიკავებთ მონაცემების ნაადრევი გახმაურებისაგან.**

იმედია, გამოძიება მალე დამთავრდება და ჩვენი გაზეთი ამ ფაქტზე საზოგადოებას სრულ ინფორმაციას მიაწვდის.

ვინ გაუგზავნის გაზეთებს?

დეპეშა იაკუტიიდან

„პატივცემულო რედაქციავ, თქვენი გაზეთი და „სვობოდნაია გრუზია" ნახევარი წლით გამოვიწერე. თითოეულში გადავიხადე 544 მანეთი, მაგრამ დღემდე არც ერთი გაზეთი არ მიმიღია. გთხოვთ, დამეხმარეთ.

ლ. ბახსოლიანი,

იაკუტია

ნერიუნგრის რაიონი, დაბა ნაგორნი".

ეს დეპეშა რედაქციამ ამ დღეებში მიიღო. შარშან ლ. ბახსოლიანმა მსგავსი შინაარსის ორი წერილი გამოგვიგზავნა. პირველი 30 აპრილს გადავუგზავნეთ საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს. მეორე კი, რომელშიც გვწერდა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას" მარტიდან კი ვიღებ, მაგრამ დღემდე „სვობოდნაია გრუზიას" არც ერთი ნომერი არ მიმიღიაო, ჩვენი გაზეთის 28 მაისის ნომერში წერილების მიმოხილვაში „ხელმომწერი არ უნდა დაიკარგოს" მოვათავსეთ. წერილში ხელმომწერის მისამართიც მივუთითეთ. ამის შემდეგ ბახსოლიანი გაზეთებს როგორ იღებდა, არაფერი ვიცოდით. სამწუხაროდ, როგორც მისი დეპეშიდან შევიტყვეთ, შარშანდელი სატკივარი წელსაც განმეორებია. და ეს, რა გასაკვირია, როდესაც აქვე, ყურისძირში მცხოვრებ ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველებს იგივე სატკივარი დიდი ხანია გასჩენიათ...

ლაურა ძძამიძე.

რედაქციისაგან: მადლობელი დავრჩებით, თუ კავშირგაბმულობის სამინისტრო ახლა მაინც გადადგამს კონკრეტულ ნაბიჯს ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

დღეს ნახევარფინალებია

მოსკოვში დამთავრდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ეტაპი. როგორც მოსალოდნელი იყო, ჯგუფური ტურნირის შემდეგ მთავარი პრიზისათვის ბრძოლას განაგრძობენ საქართველოს, ლიტვის, ბელორუსისა და რუსეთის უძლიერესი კლუბები. გაეცანით მათი მონაწილეობით მესამე ტურში გამართული მატჩების შედეგებს. „ა" **ჯგუფი:** „სპარტაკი" — „ნეფთჩი" — 8:0. „ბ" **ჯგუფი:** „დინამო"— „კოპეტდაგი" — 2:2 (თურქმენეთის ჩემპიონს ბურთები გაუტანეს მიხეილ ყაველაშვილმა და შოთა არველაძემ — მეხუთე ამ ტურნირზე). „გ" **ჯგუფი:** „ეკრანასი" — „ქაირათი" — 0:0. „დ" **ჯგუფი:** „ბელარუსი" — „რეგარი" — 6:2.

დღეს ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებიან „ბელარუსი" — „ეკრანასი" და „დინამო" — „სპარტაკი". მოგეხსენებათ, თუ რას ნიშნავს „სპარტაკის" წინააღმდეგ მოსკოვში, თანაც მანეჟში თამაში. ამასთანავე, დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ აშხაბადის გუნდთან დინამოელებმა მხოლოდ თამაშის დასასრულს მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ვიმედოვნებთ, რომ ქართველი ფეხბურთელები ღირსეულად იბრძოლებენ მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ და საპატიო შედეგს მიაღწევენ.

ჭადრაკი

დაწინაურდა ლომინეიშვილი

დედაქალაქის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის მეშვიდე ტურში მაია ლომინეიშვილმა დაამარცხა ალა ჩაიკოვსკაია და 6,5 ქულით სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს.

პირველობის მონაწილენი კიდევ 2-2 პარტიას გამართავენ.

სხვაობა შემცირდა

ჰოლანდიელი დიდოსტატის იან ტიმანის გამარჯვებით დამთავრდა ესპანეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეთერთმეტე პარტია ინგლისელ ნაიჯელ შორტთან, რომელიც წინა დღეს გადაიდო მე-60-ე სვლაზე. ანგარიში გახდა 6:5 ბრიტანელი მოჭადრაკის სასარგებლოდ.

კარპოვი თუ ილესკასი?

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ანატოლი კარპოვი და ესპანელი მიგელ ილესკასი გაითამაშებენ ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეს დიდი საერთაშორისო ტურნირის მთავარ ჯილდოს ჭადრაკში.

ნახევარფინალში მოსკოველმა დიდოსტატმა მოუგო თანამემამულე ვალერი სალოვს, ხოლო მისმა მომავალმა მოწინააღმდეგემ ბრძოლიდან გამოთიშა ესტონელი ლემბიტ ოლი.

ორიოლის მესამე გამარჯვება

გამოჩენილმა ფრანგმა ავტომრბოლმა დიდიე ორიოლმა („ტოიოტა-ჩელიკა") უკანასკნელი ეტაპის მოგებით მესამედ გაიმარჯვა პოპულარულ რალიში — „მონტე-კარლო".

მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს მისმა თანამემამულეებ ფრანსუა დელაკურმა და იტალიელმა მასიმო ბიაზონმა (ორივე — „ფორდ-ესკორტი").

ფინალში უძლიერესნი გავიდნენ

ჩოგბურთელთა ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მთავარ მატჩში ქალთა შორის ერთმანეთს შეხვდებიან იუგოსლავი მონიკა სელეში და გერმანელი შტეფი გრაფი.

ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ნახევარფინალში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა სძლია არგენტინელ გაბრიელა საბატინის, ხოლო მისმა ძირითადმა კონკურენტმა დაამარცხა ესპანელი არანტა სანჩესი.

სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი?!

იჯდა გოგონა და ტიროდა

ვერაზე, „დახურულ ტროტუარზე", ფოტო-ატელიეს ცოტა ქვემოთ, მეტრო „რუსთაველთან" ვის არ შეუნიშნავს მოლბერტივით მოწყობილ თაროებზე კოხტად ჩარიგებული წიგნები, ძირითადად რუსული ლიტერატურა.

გუშინ დილას, ასე 11 საათზე, რედაქციისკენ მომავალმა შევნიშნე, რომ „მოლბერტთან", სკამზე ჩამომჯდარ წიგნების გამყიდველ სიმპათიურ გოგონას სახეზე ხელები აეფარებინა და ტიროდა. რამდენიმე ქალი ამშვიდებდა.

თურმე სამი ახალგაზრდა კაცი მისულა, უცერემონიოდ ამოურჩევიათ წიგნები და საფასურის გადაუხდელად წაღება დაუპირებიათ, გამყიდველს ხალხისთვის მიუმართავს მიშველეთო, მაგრამ იმ ხალხმრავალ ტროტუარზე მისი მშველელი კაცი არ გამოჩენილა, ხალხის გულგრილობით გულმოცემულ ერთ-ერთ ნაძირალას კი, როგორ თუ ხმა ამოიღეო, გოგონასთვის სახეში მუშტი ჩაურტყამს.

რა ხანია ვამბობთ, ვწერთ, სანამ ასეთი გულგრილები ვიქნებით, სანამ ერთმანეთის გასაჭირს გულთან არ მივიტანთ, დავიღუპებითო, მაგრამ...

გუშინ კი წიგნებთან იჯდა გოგონა და ტიროდა.

ბელა დურგლიშვილი.

ბუნება და სტიქია

ჩამოწვა ზვავი

27 იანვარს, საღამოს 9 საათზე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგეს ქალაქ ყაზბეგიდან აცნობეს, რომ საქართველოს სამხედრო გზის ყაზბეგ-გუდაურის მონაკვეთზე, გუდაურიდან ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით ორივე მხრიდან ჩამოწვა ზვავი. თოვლის ტყვეობაში მოჰყვა რამდენიმე ავტობუსი, მგზავრთა შორის იყვნენ ბავშვები და ქალები. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის.

სამინისტროს მორიგემ მომხდარის შესახებ უმალვე აცნობა ტრანსპორტის სამინისტროსა და საგზაო პოლიციას. ორივე სამსახურის, კერძოდ, საგზაო პოლიციის დუშეთის ასეულის და საავტომობილო გზების კონცერნის გუდაურის უბნის მუშაკთა მიერ ოპერატიულად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად წუხელვე მოხერხდა სტიქიის ადგილიდან ბავშვებისა და ქალების გამოყვანა. ამჟამად სათანადო ტექნიკის გამოყენებით ინტენსიურად მიმდინარეობს გზის გაწმენდა თოვლში ჩარჩენილი ავტომანქანებისა და მგზავრების გამოსაყვანად.

შსს პრესცენტრი

ერიდეთ შიდსს

ავადმყოფები ჩვენშიც არიან

რამდენიმე წლის წინ ერთმა ნაცნობმა ღიმილით მკითხა: „როგორ გგონია, შიდსი მართლა ასეა მოდებული, თუ ეს მორიგი პროპაგანდისტული აურზაურია?" ახლა ასეთ კითხვას აღარავინ იძლევა, ყველამ იცის: შიდსი XX საუკუნის ჭირია, თუმცა ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებნი, თუ არ ჩავთვლით სამედიცინო საზოგადოებრიობას, დიდად არ იტკიებენ თავს ამ საშიშროებაზე ფიქრით. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იმდენი პრობლემაა მოზღვავებული, არავის არ „ეშიდსება", მეორეც, ბევრს ჰგონია, რომ ეს სენი მძვინვარებს სადღაც სხვაგან — აფრიკაში, ამერიკაში, დასავლეთ ევროპაში, ჩვენში კი კიდევ კარგა ხანს არ იქნება.

ვაი რომ, უნდა გავუცრუოთ იმედი ოპტიმისტებს: შიდსმა უკვე შემოგვიღო კარი. სპეციალისტებმა დააფიქსირეს ორი შემთხვევა, თანაც ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებნი სწორედ ამ დაუნდობელმა სენმა იმსხვერპლა.

— შემზარავი მარტო ის კი არ არის, შიდსმა რამდენიმე კაცი რომ იმსხვერპლა, არამედ ის, რომ უკვე არის აღნიშნული ინფექციით დასნებოვნების შემთხვევები საქართველოს ტერიტორიაზე, უფრო ზუსტად კი თბილისში, — თქვა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს შიდსისა და იმუნოდეფიციტის ცენტრის გამგემ **ცისანა შარტავამ.** შიდსზე რესპუბლიკის მოსახლეობის გამოკვლევა 1986 წელს დაიწყო და უკვე განხორციელდა მილიონ-ნახევარზე მეტი ანალიზი. ამის შედეგად საქართველოში აღირიცხა ინფიცირებულთა 16 შემთხვევა: ხუთი უცხოელის და 11 ადგილობრივი მცხოვრებისა. მაგრამ მთელი ეს წლები ჩვენ საქმე გვქონდა საქართველოს ფარგლებს გარეთ დასნებოვნებულ პირებთან, გასული წლის გაზაფხულზე კი აღირიცხა ორი შემთხვევა, როდესაც ადამიანთა ინფიცირება მოხდა თბილისის ტერიტორიაზე. მართალია, ერთი და იგივე პირისაგან.

— **როგორ მოხდა ეს?**

— დასნებოვნების წყაროა ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ეჭვადაც კი არ ჰქონდა ინფექციის შეყრა. მან იკისრა დონორობა. მისცა სისხლი ნათესავს, რომელიც ოპერაციას იტარებდა, და ცოტა ხნის შემდეგ ამ უკანასკნელს ავადმყოფობის ნიშნები გამოაჩნდა. დაუწყეს გამოკვლევა და გამოუვლინეს ინფექცია. შემდეგ დაიწყეს დასნებოვნების წყაროს ძებნა, შეამოწმეს ყველა, ვისთანაც კი რაიმე კონტაქტი ჰქონია, და ასე მიაგნეს ნათესავს, რომელმაც მას სისხლი მისცა. როდესაც ამ უკანასკნელს სისხლში შიდსის ვირუსი აღმოუჩინეს, გამოიკვლიეს მისი გარემოცვა და გამოავლინეს კიდევ ერთი ინფიცირებული — ამ ახალდაქორწინებული ახალგაზრდა კაცის მეუღლე. ასე დადგინდა დასნებოვნების წყარო.

— **თქვენ შეგნებულად არ ასახელებთ ინფექციის მატარებელთა ვინაობას?**

— დიახ, ამას კატეგორიულად მოითხოვენ ინფიცირებულთა ახლობლები, თავს რაიმე არ აუტეხონ. უფრო მეტიც, კაცმა, რომელსაც ინფექცია ნათესავის სისხლის გადასხმის შედეგად გადაედო, არ იცის, რომ იგი ინფიცირებულია იგივე მიზეზით.

— **მაგრამ ეს ხომ უდიდეს საფრთხეს უქადის ყველას — თბილისელებს თუ მთელი რესპუბლიკის მცხოვრებთ. თავად განსაჯეთ, ინფიცირებულნი ხომ ჩვენ შორის ცხოვრობენ, სარგებლობენ იმ ექიმთა მომსახურებით, რომლებიც სხვებსაც მკურნალობენ (მაგალითად, მე ვგულისხმობ სტომატოლოგებს), დადიან ლაბორატორიებში, სადაც მათთან ერთად სისხლს უღებენ ათასობით სხვა მოქალაქეს...**

— თქვენ უდავოდ სწორი ბრძანდებით. მაგრამ, მოდით, წარმოვიდგინოთ პრობლემის მეორე ასპექტიც: ვთქვათ, ხალხმა გაიგო, რომ ვიღაც კონკრეტული კაცი ინფიცირებულია, რა მოუვა მას? მოუვა ის, რომ მოხვდება სრულ იზოლაციაში, შეიძლება დევნაც კი დაუწყონ. რა ქნას, რა წყალში ჩავარდეს, ასე ხომ შეიძლება თვითმკვლელობამდეც კი მიიყვანონ?

— **ალბათ, საჭიროა უფრო აქტიურად ვაწარმოოთ საგანმანათლებლო მუშაობა, განვუმარტოთ ადამიანებს, როგორ დაიჭირონ თავი ინფიცირებულებთან, რათა არ შელახონ მათი უფლებები და ამავე დროს არც თავად შეეყაროთ სენი.**

— სწორი ბრძანებაა. აქ კი თქვენ, ჟურნალისტებმა უნდა იმარჯვოთ. ჩვენ ნიადაგ ვეწევით ასეთ ახსნა-განმარტებითს მუშაობას დასნებოვნებულებთან, მათს ახლობლებთან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, აუცილებელია მკვეთრად გავაფართოოთ პროპაგანდის მასშტაბი.

თუ გახსოვთ, ანალოგიური ბედი ჰქონდათ პირველ ინფიცირებულებს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი. დამფრთხალი ადამიანები მათ კეთროვანებივით გაურბოდნენ, ბავშვებს ერეკებოდნენ სკოლებიდან და საბავშვო ბაღებიდან. მაგრამ გამუდმებულმა ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ, მაგალითებმა, ხალხს რომ აძლევდნენ ცნობილი ადამიანები, საზოგადოების უმაღლესი წრეების წარმომადგენლები, დასავლეთის ქვეყნებში თავისი ნაყოფი გამოიღო, და იქ დიამეტრულად შეიცვალა პოზიცია: ინფიცირებულნი გარემოსილი არიან ყურადღებითა და მზრუნველობით, ამასთან არც სათანადო პროფილაქტიკის დაცვა ავიწყდებათ.

როდესაც ჩვენც მივაღწევთ ასეთი შეგნების დონეს, დასნებოვნებულთა ვინაობის დამალვა თავისთავად აღარ იქნება საჭირო.

— **როგორია დღესდღეობით თქვენთან ოფიციალურად აღრიცხული რესპუბლიკის ინფიცირებულ მოქალაქეთა შემადგენლობა?**

— რვა მამაკაცი და ერთი ქალი. მათი ასაკია 21-დან 40 წლამდე. ბავშვებს შორის, ავადმყოფები, საბედნიეროდ ჯერჯერობით არ არიან.

— **რას გვეტყოდით მსოფლიოსა და საქართველოში ინფექციის გავრცელების პერსპექტივებზე?**

— დღესდღეობით მსოფლიოს 191 ქვეყანაში აღრიცხულია 520 ათასზე მეტი შიდსიანი ავადმყოფი. მაგრამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას მიაჩნია, რომ სინამდვილეში ახლა პლანეტაზე არის სულ ცოტა ორი მილიონი ავადმყოფი, რომელთა ნახევარს ბავშვები შეადგენენ. უბრალოდ, ყველა არ გადის გამოკვლევას — სხვადასხვა მიზეზის გამო. თან გამოკვლევის შედეგებიც ვერ არის სრულყოფილი. მასობრივი სკრინინგ-ანალიზი არ იძლევა სრულ სურათს, ხოლო უფრო გაღრმავებული მეთოდები, მართალია, არსებობს, მაგრამ ისე ძვირია, რომ მათი გამოყენება ხშირად შეუძლებელია.

სხვა გაზეთებიდან

Вечерний Тбилиси

№ 5

ინფიცირებულნი მსოფლიოს ხუთ კონტინენტზე დაახლოებით 12 მილიონს შეადგენენ. მათი ნახევარი უახლოეს 10 წელიწადში დაავადდება, დანარჩენები — შემდეგ.

— **ზოგიერთ სპეციალისტს მიაჩნია, რომ არ არის აუცილებელი, ყველა ინფიცირებული დაავადდეს. არიან ინფექციის მატარებელნი, რომელთა ორგანიზმი მედეგია დაავადების მიმართ.**

— ასე ფიქრობდნენ წინათ, მაგრამ ახლა სულ უფრო მეტი სპეციალისტი ადგება საპირისპირო აზრს. საერთოდ, შიდსის შესწავლის ისტორია ძალზე ხანმოკლეა — 11 წელიწადი, და, ბუნებრივია, ჯერჯერობით ბევრი რამ გაურკვეველია. მაგრამ ავადმყოფობის გავრცელების ტემპი ვერ არის სანუგეშო — მსოფლიოში ყოველდღიურად ავადდება ხუთი ათასი კაცი. ჩაუფიქრდით ამ ციფრებს, მით უმეტეს, რომ დღესდღეობით არ არსებობს არც ვაქცინა, არც რადიკალური მკურნალობის მეთოდები და საშუალებები, და უახლოეს წლებში, ალბათ, არც იქნება.

— **რა სიტუაციაა თქვენს ცენტრში, ყველაფერი გაქვთ საიმისოდ, რაც კვლევისთვის არის საჭირო?**

— საბედნიეროდ, ჩვენში ჯერჯერობით ეპიდემია არ არის, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ სიტუაცია საქართველოში უაღრესად მძიმეა, და ეს ხელს უწყობს ავადმყოფობის გავრცელებას. მაგალითად, ცნობილია, რომ აფრიკის კონტინენტზე შიდსი განსაკუთრებით მძვინვარებს ისეთ ქვეყნებში, სადაც არ არის სტაბილური პოლიტიკური ვითარება და დაბალია ეკონომიკის დონე. იქ დაავადებულია ყოველი მესამე მცხოვრები.

ახლა, რაც შეეხება კვლევისათვის საჭირო რეაქტივებს. საქართველოში ეს რეაქტივები, როგორც ცნობილია, არ გამოდის, რუსეთი კი აღარ გვიგზავნის. ფონს გავდივართ ძველი მარაგის ნარჩენებისა და ცენტრის (აგრეთვე რესპუბლიკაში არსებული მისი 29 ლაბორატორიის) მუშაკთა ენთუზიაზმის წყალობით. ასე რომ, თუ მთავრობა არ დაგვეხმარა, გარკვეული დროის შემდეგ ჩვენ ალბათ იძულებული გავხდებით უბრალოდ შევწყვიტოთ მუშაობა. მაშინ დაგვრჩება ერთადერთი ფუნქცია: ვაძლიოთ სამედიცინო ორგანიზაციებს მეთოდიკური მითითებანი (მაგალითად, სტერილიზაციის დარგში) და კონტროლი გავუწიოთ მათს შესრულებას.

მსოფლიოში შემუშავებულია ინფექციის გავრცელების რამდენიმე მოდელი: განვითარებული ქვეყნებისათვის, სადაც შიდსი ძირითადად ლოკალიზებულია ნარკომანების, ჰომოსექსუალისტების და მეძავების წრეში; განვითარებადი ქვეყნებისათვის (იქ დაავადება ვრცელდება სისხლის, აგრეთვე სისხლის პრეპარატების მეშვეობით, ხოლო ბავშვებს შორის — ვერტიკალური ხაზით, ე. ი. დედისაგან შვილზე), მესამე მოდელი — დანარჩენი ქვეყნებისათვის — არასტერილური პრეპარატები და სამედიცინო ინსტრუმენტები, სპეციფიკური ტრადიციები, ქცევის მანერა და ა. შ. ჩვენთვის, ვფიქრობ, ყველაზე საშიშია სწორედ უკანასკნელი მოდელი.

—**ხომ არ გაქვთ რაიმე სტატისტიკური პროგნოზი შიდსთან დაკავშირებით?**

— საქართველოში ასეთი სტატისტიკა, რა თქმა უნდა, არა გვაქვს, მაგრამ სსრ კავშირში იგი შემუშავებულია ყველა რესპუბლიკისათვის. თუ ამ სტატისტიკას ვენდობით, 2010 წლისათვის საქართველოში ასიათასობით ინფიცირებული იქნება.

— **არსებობს თუ არა კანონი, რომელიც ითვალისწინებს ინფექციის გამავრცელებელი ავადმყოფობისათვის სასჯელს?**

— 1991 წელს სსრ კავშირში მიღებულ იქნა კანონი შიდსიან ავადმყოფთა უფლება-მოვალეობების შესახებ, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება მათი უფლებების შეზღუდვა. მაგალითად, დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება, საზოგადოებისაგან იზოლირება, რაიმე მომსახურებაზე უარის თქმა და ა. შ. ამავე დროს კანონი ითვალისწინებს სასჯელს, უფრო ზუსტად, პატიმრობას — 5-დან 8 წლამდე — ავადმყოფებისათვის, რომლებიც დასნებოვნების საფრთხეს უქმნიან ჯანმრთელ მოქალაქეებს ან დაასნებოვნებენ ისინი.

— **ამჟამად თუ მოქმედებს ჩვენში ეს კანონი?**

— მართალი გითხრათ, მიჭირს ამ კითხვაზე გიპასუხოთ.

— **ასეთ შემთხვევაში, ხომ არ მიგაჩნიათ მიზანშეწონილად, რომ შესაბამისი კანონის მიღების საკითხი დაისვას საქართველოს პარლამენტში?**

— ვფიქრობ, რომ ეს იქნება ერთობ გონივრული და დროული ღონისძიება. რა თქმა უნდა, აჯობებს, ახლავე გავხედოთ გზას, სანამ ურემი არ გადაბრუნებულა.

საუბარს უძღვებოდა

ნუნუ ნაცვალაძე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარ რედაქტორს

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით უღრმესი მადლობა მოვახსენოთ მთელ საზოგადოებრიობას, ყველა ორგანიზაციასა თუ კერძო პირს, რომლებმაც გულწრფელად გაიზიარეს ჩვენი უდიდესი მწუხარება აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონში საქართველოს ერთიანობისათვის თავშეწირული ჭაბუკის — შვილის, შვილიშვილის — გიორგი ლევანის ძე მიროტაძის გმირულად დაღუპვის გამო და თანაგრძნობა გაგვიწიეს.

ლევან მიროტაძისა და სოკრატ არშბას ოჯახები.

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 27 იანვრის ნომრის პუბლიკაციაში „ქვეყანას მეწარმე გადაარჩენს" დაშვებულია უზუსტობა. წერილის ბოლო აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „ჩატარდა თბილისელ მეწარმეთა საქალაქო კორპორაციის გამგეობის არჩევნები. გამგეობის თავმჯდომარისა და სხვათა არჩევნების საკითხები გამგეობის მომდევნო სხდომაზე გადაწყდება".

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოზიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-29.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66434